რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ხუთშაბათი, 5 აპრილი 1918 წ.

# ერთობა

ფასი 30 კაპ.

გაზეთი ღირს: 1 თვით 6 მ. 50 კ., ცალკე ნომერი ყველგან 30 კაპ. საზღვარ-გარეთ ორჯერ მეტი. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—50 კაპ. სამგლოვიარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 11 ნახ. ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ, почтов. ящ. 199. Редакція „Эртоба“. სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ, Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 78 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 78

გრძელდება ხელის მოწერა 1918 წლისთვის ყოველ დღიურ გაზეთ

„ერთობა“-ზე

1 თვით — 6 მან. 50 კ. ცალკე № ყველგან 30 კ.

გაზეთის დაკვეთა შეიძლება შემდეგი მისამართით:

Тифлисъ почт. ящикъ № 199. РЕДАКЦІЯ „ЭРТОБА“

ამხ. და თანამგრძნობთ გთხოვთ ხელის მოწერას ნუ დააყოვნებენ.

ჩვენი ხალხის საყურადღებოთ

ცხადდება, რომ შემოწირულება საქართველოს ეროვნული ფონდის გასაძლიერებლათ

მიიღება ეროვნულ საბჭოს სამმართველოში (ფრეილინის ქუჩა, № 11 საკუთარი სახლი) დილის 11-დან 3 საათამდე.

ექიმების, ფერშლების, ბებიების და საავადმყოფოს გამგეთა საყურადღებოდ

პუშკინის აფთიაქი შეუდგა ქ. თფილისში „საექიმო ცნობების“ (Врачебный указатель) გამოცემას. ვსთხოვთ ყველა ექიმთ, საავათმყოფოს გამგეთ, ფერშლებს, ბებიებს, აფთიაქებს და საფთიაქო მაღაზიებს 1 მაისამდე (ახალი სტილით) შეგვატყობინონ თავიანთი ადრესი.

პირადად ნახვა შეიძლება ყოველდღე სად. 4—6 საათამდე.

ადრესი: პუშკინის ქუჩა № 19, პუშკინის აფთიაქი.

P. S. იქვე იღება განცხადებები „საექიმო ცნობებში“ მოსათავსებლად.

„საექიმო ცნობები“ დაურიგდება უფასოთ ყველა ექიმებს, სასტუმროებს, აფთიაქებს, საფთიაქო მაღაზიებს და სხვ.

(3—3)

მარტის 20 გაიხსნა ახალი

სამკურნალო

ყოველგვარ ავათმყოფთათვის ექიმ. ე. მ. მძინარიშვილის და ლ. მ. ნაზარეტიანცის

საავადმყოფოში არსებობს კბილის საექიმო კაბინეტი ხელოვნურ კბილების ტეხნიკურ ლაბარატორიით

მიხეილის და კიროჩნი ქუჩების კუთხე № 22. (შესასვლელი კიროჩნი ქუჩიდან) ტელეფ. 10—87. ავათმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 9 ს. ნაშუადღევის 3 საათამდე. ვენერიული და სიფილისის ავათმყოფების მიღება საღამოს 5—8-მდის. ქალების და ბავშვების მიღება 4—5 ს., კვირაობით ღარიბები უფასოთ მიიღებიან დილ. 10—12 საათ.

(24—12)

ექიმი გ. გ. მუხაძე

იღებს სადოსტაქრო ავათმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 57: ოფიცერთა ეკონომიურ საზ. შენობის პირდაპირ, სახ. სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

რენტგენის ელექტრო-სხივებით მკურნალობის კაბინეტი ბერლინის უნივერსიტეტის მედიცინის დოქტორის

გ. გ. მეგრაბიანცისა

შინაგან ავათმყოფობათა სპეციალისტი. მიიღებიან გულისა და ჭლექით დაავათმყოფებულნი. ყოველგვარი გამოკვლევა ფოტოგრაფიული გადაღება და წამლობა—სხივებით. მშრალი ჰაეროვანი ვანნები, პნევმოტორაქსი, ტორსენეალისა ტოკი და სხვა. რენტგენო-ფოტოგრაფიული გადაღება წინასწარი ჩაწერით ავათმყოფები მიიღებიან ყოველ-დღე დილის 9 საათ.—1 საათ. და საღამოს 5 საათ—7 საათამდე. კვირაობით კი დილი 9 საათ. ადრესი: ბებუთოვის ქ. № 23. ტელეფონი 7—92.

ექიმი პ. ი. გვარჯალაძე

შინაგან და ბავშვთა სნეულებანი ავათმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 5—6 ს., კვირა დღის გარდა. ქსენიევის ქუჩა, № 4, სასტუმრო ვეტცელის გვერდით. ტელ. 15—00.

ექიმი

დ. ი. ქორდანია

იღებს ავათმყოფებს შინაგან და ვენერიულ ავათმყოფობით, სიფილისი მისი და შედეგები სისხლ ნაკლებობა. ქრონიკული მალიარია და ქრონიკული ტრიპერი. საღამოს 5—7 საათამდე გარდა კვირისა. გორის ქ. № 6 (დიდუბე). ტელ. 14—37.

ექიმი

ნ. ი. მახვილაძე

იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა (ხელოვნური პნევმოტორაქსი) ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით. ავათმყოფთ ყოველ დღე დილის 11—12 საათამდე და საღამოთი 4—6 საათამდე. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11.

ექიმი

ვ. ვ. კლდიაშვილი

შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ღებულობს ყოველ-დღე დღის 12—1 საათ. და საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: პეტროგრადის ქუჩა № 4, კუთხე მიხეილის პრ. ტელეფონი 8—48. ვაგზლის სამკურნალოში მიიღებს ყოველ-დღე დღის 1—2 საათამდე.

ექიმი ქალი

რ. გ. შიშლო-საგაშვილი

მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ-ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველდღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა საბებიო დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და საღამოს 5—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, სახლი № 82.

სამკურნალო კაბინეტი

ექიმი ალექსანდრე დავითის ძის

კეკელიასი

მიიღება კანისა, ვენერიულისა და სიფილისიანი ავათმყოფები. (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება 5—6 საათამდე საღამოთი. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ ტელეფონი 14—28

ექიმი

დ. ი. ჯაფარიძე

მიიღებს შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებით ავადმყოფებს დილის 11—1 საათამდე, საღამოს 5—7 ს. მადათოვის ქუჩა № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ.

ექიმი ნ. ლ. ტურიაშვილი

მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა.

შინაგან საბავშვო, საბებიო და საშვილოსნო სნეულებით ავადმყოფთ იღებს ყოველ-დღე შუადღის 12—2 და საღამოს 4—5 საათამ. უფასოთ იღებს ყოველ-დღე დილით 9—10 საათ. მისამართი: ნიკოლოზის ქუჩა, № 7, სიმხოვიჩის აფთიაქის გვერდით.

# მანიფესტი

## ამიერ-კავკასიის სეიმისა ამიერ-კავკასიის ერებისადმი

ამიერ-კავკასიის ერებო!

დაჰკრა საათმა, როდესაც სწყდება ჩვენი საერთო სამშობლოს ბედი.

თქვენ უკვე იცით, თუ რა გვარი მოთხოვნები წამოგვიყენა ჩვენ ოსმალეთის მთავრობამ.

ჩვენგან მოითხოვდენ გვეცნო ბრესტლიტოვსკში დადებული ხელშეკრულობა, რომელიც ამიერ-კავკასიის ერების დაუკითხავად იქმნა შეკრული. ეს ის ხელშეკრულობაა, რომელსაც რუსეთში ამ ჟამად არავინ არ სცნობს, ვისთვისაც კი ძვირფასია თავისუფლება და სამშობლოსადმი პატივცემა.

ჩვენგან მოითხოვდენ ჩვენს საუკეთესო ციხე-სიმაგრეს ყარსს და ჩვენს საუკეთესო ნავ-საყუდელს ბათუმს.

ჩვენგან მოითხოვდენ სამი ოლქის—ყარსის, არდაგანის და ბათუმის დაცლა-განთავისუფლებას.

ჩვენ ყოველივე ვიღონეთ, რომ მშვიდობიანი გზით, მოლაპარაკებით მოგვეგვარებია საქმე, რომ ოსმალეთის მთავრობას უარეყო თვისი მოთხოვნანი. მივისწრაფოდით რა ზავისაკენ, ჩვენ დავეთანხმდით უდიდეს მსხვერპლზე და დათმობაზე. ჩვენ განვუცხადეთ ოსმალეთს, რომ მზათა ვართ დავთმოთ ყველაფერი,—არდაგანი და ყარსიც კი, მაგრამ ჩვენ არ შეგვეძლო უარი გვეთქვა ბათუმზე, რომელიც ზღვით ერთად ერთი კარია ჩვენთვის, რომლიდანაც ერთად ერთი გზა მიდის ჩვენი მხარიდან ევროპაში და გვაერთებს ევროპის კულტურასთან. და მთელი ჩვენი ძალ-ღონე, რომ დავა მშვიდობიანის გზით გაგვეთავებია, დაამსხვრია ოსმალეთის ჯიუტობამ.

ოსმალეთი დაჟინებით იცავს თავის პირვანდელ მოთხოვნებს. მისი მიზანია მოსწყვიტოს ამიერ-კავკასია გარეშე ქვეყანას, დაახრჩოს და დაამონაოს ის. ამ მიზნის მისაღწევათ ოსმალთა ჯარები შემოტევას აწარმოებენ. ამ ჯარების შეჩერება ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ იარაღით.

ჩვენ წინ ასეთი საკითხი დადგა: განვაგრძოთ თუ არა ოსმალეთთან საზავო მოლაპარაკება იმ დროს, როცა მისი ჯარები ჩვენი ქვეყნის შუაგულისაკენ მოიწევენ; თუ შევსწყვიტოთ ყოველგვარი მოლაპარაკება და იარაღს მივანდოთ ამიერ-კავკასიის თავისუფლების დაცვა?

ოსმალეთის საზავო მოლაპარაკების დაწყები' თანავე ჩვენ ვამბობდით: ამიერ-კავკასიის ერებს ზავი სწყურია, მაგრამ ეს ერები არ დასთანხმდებიან ეს ზავი იყიდონ მონობისა და შერცხვენის საფასურით.

ახლა ჩვენ ამოსარჩევათ გვაქვს: სამარცხვინო ზავი და მონობა, თუ ომი?

სამშობლოსა და მომავალ თაობათა წინაშე ჩვენი დიადი პასუხისმგებლობის შეგნებით ჩვენ შეურყევლათ ვარჩიეთ:

სამარცხვინო ზავს ჩვენ ხელი არ მოვაწეროთ.

საზავო მოლაპარაკება ოსმალეთთან შეწყვეტილია.

ამიერიდან ჩვენ შორის დავას გადასჭრის იარაღი ბრძოლის ველზე.

და ამ საათში მოგმართავთ თქვენ, ვინაიდან თქვენზე, თქვენს მამაცობაზე, თქვენ მიერ გაჭირვების ატანაზე და მსხვერპლის გაღებაზეა დამოკიდებული თქვენი და თქვენი შვილების მომავალი.

მოქალაქენო! ნუ თუ მთელ რუსეთთან ერთად იმიტომ დავამსხვრიეთ მეფის უღელი, რომ ოსმალეთის დამონებულ პროვინციათ გავმხდარიყავით?

გლეხებო! განა იმიტომ მოგცა თქვენ მიწა რევოლიუციამ, რომ ჩვენმა დამპყრობელმა ოსმალეთმა ეს მიწები ახალ მემამულეებს მიასაკუთროს?

მუშებო! განა იმისთვის ააფრიალეთ თქვენ რევოლიუციის დროშა, რომ ის ტალახში ამოსვაროს დამპყრობელის ფეხმა?

სახელის გატეხა და მონობა, ან ომი—სხვა გამოსავალი გზა ჩვენს წინაშე არ არის. დეე იმ მრისხანე საშიშროების წინაშე, რომელიც თავს ადგია ჩვენი ქვეყნის ყველა ერებს, დავიწყებულ იქნას ყოველგვარი დავა, შური და უთანხმოება, რაიც ჩვენს რაზმებს დღემდე აგრე ანცალკევებდა.

საუკუნო მონობის ყულფი აქვს გადაცმული კისრად ჩვენი ქვეყნის ყველა ერებს. დეე მტრის შემოტევა ჩვენმა მტკიცე გადაწყვეტილებამ დაამსხვრიოს, რომ ამოდენა შთამომავლობათა სისხლით მორწყულ ჩვენს მამულს ბოლომდე დავიცავთ.

ყველამ იარაღს მოჰკიდეთ ხელი!

ყველა გაეშურეთ ფრონტისაკენ!

გამოდით ყველანი თავისუფლებისა და სამშობლოს დასაცავად!

ამიერ-კავკასიის სეიმი.

# ორი ორიენტაცია

გარეშე მტრის მოახლოებამ, ოსმალეთის საფრთხემ შემდეგი საკითხი დაგვიყენა წინ: როგორ დავიცვათ რევოლიუცია და თავისუფლება, როგორ გადავარჩინოთ ხალხი გაჟლეტას და განადგურებას. სანამ ჩვენ ძლიერ რუსეთის ნაწილს შევადგენდით, ჩვენი ფიზიკური არსებობა უზრუნველყოფილი იყო: რუსეთს საკმაო ჯარი ყავდა ჩვენს საზღვრებზე და ეს ჯარი ველურ ურდოების თარეშისაგან გვიფარავდა.

ეს, რასაკვირველია, იმას არ ნიშნავს, ვითომ რუსეთის მთავრობის მმართველობის წესი ჩვენ გვაკმაყოფილებდა. რუსეთის თვითმპყრობელობა ყოველს დარგში სულს გვიხუთავდა, გასაქანს არ გვაძლევდა. ყველაფერს, რასაც კი სასიცოცხლო ნიშნები ქონდა, მთავრობა სპობდა, ანადგურებდა.

მაგრამ ასეთ ყოფაში ვიმყოფებოდით არა მარტო ჩვენ, არამედ მთელი რუსეთი, თუმცა ჩვენს საერთო მონობას დართული ქონდა აგრეთვე ეროვნული შევიწროებაც. ამიტომ ჩვენი დემოკრატია რუსეთის მთავრობას საერთო მტრათ თვლიდა და ამ მთავრობის ჩამოსაგდებათ მთელი რუსეთის დემოკრატიასთან ხელი-ხელ ჩაკიდებული იბრძოდა.

ჩვენ ვიცით, თუ რა ნაყოფი გამოიღო ასეთმა პოლიტიკამ: ამიერ-კავკასიის დემოკრატია სოციალდემოკრატიის მეთაურობით, განსაკუთრებით ამ დემოკრატიის მოწინავე ნაწილი, ინტერნაციონალური დემოკრატია საქართველოსი მუდამ კრიჭაში უდგა კაცი-ჭამია ნაციონალისტებს და ამით არა ერთხელ იქნა აშორებული ეროვნებათა შორის მტრობა და ხოცვა-ჟლეტა. საერთო დემოკრატიულ სფეროში რუსეთის ყველა კუთხის დემოკრატიის ერთობამ შესაძლებელი გახადა რუსეთის თვითმპყრობელობის დანგრევა და ახალ ცხოვრებისათვის საფუძვლის მომზადება. სწორეთ რუსეთის თვითმპყრობელობის დანგრევამ მოუმზადა ნიადაგი ეროვნულ თავისუფლებასაც და თუ დღეს ჩვენი ეროვნული თავისუფლება საფრთხეშია, ამის მიზეზი ის არის, რომ საფრთხეშია საზოგადოთ მთელი რუსეთის დემოკრატიის ბედი.

ამნაირათ, ჩვენი მიზანი იყო დემოკრატიული წყობილების შექმნა და მასთან ერთად ეროვნულ თავისუფლების, ეროვნულ თვითმართველობის მოწყობა. რუსეთის დემოკრატიასთან ერთად ბრძოლა კი წარმოადგენდა მხოლოდ საშუალებას აღნიშნულ მიზნის მისაღწევათ.

ჩვენს მოწინააღმდეგეებს, ქართველ ნაციონალისტებს, არასოდეს არ შეეძლოთ ჩვენი ბრძოლის მეთოდის გაგება, ჩვენი სამოქმედო გეგმის დაფასება. ისინი მუდამ საქართველოზე გაჰკიოდენ, მაგრამ ერთხელაც არ უფიქრიათ, თუ როგორ შეიძლებოდა საქართველოს შველა. ხალხმა კი თავიდანვე სწორი ალღო აუღო მდგომარეობას და ჩვენს დროშას გაჰყვა. ნაციონალისტებმა მაშინ იმით ინუგეშე'ს თავი—ხალხი ბნელია, სოციალ-დემოკრატები მასატყუებენ, მოვა დრო და ხალხიც იცნობს თავის მტერ-მოყვარესო.

დღეს ჩვენმა ნაციონალისტებმა ჩვენს წინააღმდეგ ბრძოლა გააძლიერეს, იერიში იერიშზე მოაქვთ. ეროვნულ-დემოკრატების გაზეთი „საქართველო“ მედიდურათ მოგვიწოდებს „გონიერებისაკენ“, ნუ ღალატობთ და ნუ ღუპავთ თქვენს თავსაც და თქვენს სამშობლოსაცო.

რაში ხედავენ ქართველი ნაციონალისტები ჩვენს ღალატს, როგორ შეიძლება მოღალატეობა ჩაიდინოს იმ პარტიამ, რომელსაც თითქმის მთელი ხალხი მიყვება?

ჩვენი ღალატი თურმე იმაში ყოფილა, რომ ჩვენ ოსმალეთის წინააღმდეგ რუსეთის დემოკრატიას მივმართეთ. „საქართველოს“ აქედან თავისებური დასკვნა გამოყავს, ვითომ ჩვენ ვიწვევდეთ ბოლშევიკებს, რომლების „გარშემო თავს შემოიყრის ყველა მტერი ქართველი ერისა—ოსი, სომეხი და ყველა ჯურის რუსობა და სხვ. და ... ვით გადაგვარებული, გახულიგანებული ნაწილი ქართველობისა“—ასეთი დასკვნის წინააღმდეგ კამათი ჩვენ უნაყოფოთ დროის დაკარგვათ მიგვაჩნია, რადგან თუ მართლა ყველანი ქართველების წინააღმდეგ ამხედრდებიან—„ოსებიც, სომხებიც და ყველა ჯურის რუსობაც“, მაშინ რაღა დაგვრჩენია გარდა იმისა, რომ გულზე ხელები დავიკრიბოთ და სასიკვდილოთ გავემზადოთ.

ჩვენ რომ ბოლშევიკები არ მოგვიწვევია, ეს „საქართველოს“ პუბლიცისტებმაც კარგათ იციან და თუ მაინც სწერენ ამას, აქ სულ სხვა მიზეზი იფარება. დიდი დაკვირვებაც არ არის საჭირო, რომ „საქართველოს“ პუბლიცისტების სულისკვეთება გავიგოთ: თურმე ქართველი ერის წინააღმდეგ გაილაშქრებს ოსი, სომეხი და ყველა ჯურის რუსობაც კი, და ალბათ მარტო მუსულმანები იქნებიან ჩვენი მეგობრები! ცხადია, რატომ გვთვლიან ნაციონალისტები მოღალატეებათ: გაჭირვების ჟამს ჩვენ რუსეთის დემოკრატიისაკენ ვიხედებით, იქ ვეძიებთ მოკავშირეებს, „საქართველო“ კი ფიქრობს, რომ ჩვენ ყველას ომი უნდა გამოუცხადოთ: ოსობას, სომხობას და ყველა ჯურის რუსობას და მარტო თათრებს დავუმეგობრდეთ. ერთი სიტყვით, ჩვენი ორიენტაცია არის ორიენტაცია რევოლიუციონური დემოკრატიის, ორიენტაცია კულტურის და განვითარების, ხოლო „საქართველოს“ ორიენტაცია არის—ორიენტაცია ოსმალეთის. ჩვენ, რასაკვირველია, ოსმალეთის მტრობა სრულებითაც არ გვინდა, ჩვენ ყოველივე ზომა ვიღონეთ იმისთვის, რომ ოსმალეთთან ზავი შეგვეკრა, მაგრამ რაკი მან ეს ზავი არ მიიღო და ჩვენს დაპყრობას შეუდგა, რა უნდა გვექნა ჩვენ, ვის უნდა მივმხრობოდით?

ჩვენ საუკეთესოთ მივიჩნიეთ ამიერ-კავკასიის ცალკე სახელმწიფოთ გამოცხადება, თუ რასაკვირველია, ოსმალეთი ხელს აიღებდა ბათუმ-ყარს-არტაანის ოლქების დაპყრობაზე და ჩვენს დამოუკიდებლობას საერთაშორისო გარანტია მიეცემოდა, მაგრამ რაკი ოსმალეთი ჩვენს საერთო ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობას არ სცნობს და ომზე ხელს არ აიღებს, ჩვენ მოკავშირე უნდა ვეძიოთ და ასეთ მოკავშირეთ ჩვენ მივაჩნია რუსეთი, რომელიც თუ დღეს წაქცეულია, ახლო მომავალში არ შეიძლება არ აღსდგეს. შეიძლება ჩვენ აქაც დავმარცხდეთ, მაგრამ ყველა ის ხომ არ არის მოღალატე, ვინც მარცხდება? 1905 წლის რევოლიუციაც ხომ მარცხით დამთავრდა, მაგრამ განა დემოკრატიამ აქედან ის დასკვნა გამოიყვანა, რომ სოციალ-დემოკრატიამ ხალხს უღალატა?

დემოკრატიას დღესაც კარგათ ესმის, რომ მოღალატე არა ის, ვინც ხალხის დასაცავათ არავითარ საშუალებას არ ზოგავს, არამედ მოღალატეა ის, ვინც პირდაპირ ოსმალეთის უღლისკენ მოუწოდებს ხალხს. ასე იქცევიან დღეს ნაციონალ-დემოკრატები და ქართველი ხალხიც არ დაივიწყებს მათს სამარცხვინო როლს.

# პრესა

„სახალხო საქმე“ სწერს:

„აღსრულდა!.. ოსმალეთმა უარჰყო მშვიდობიანი მოლაპარაკება და იარაღით მოისურვა საქართველოს დაპყრობა. ვერავითარმა დათმობამ, ვერავითარმა პოლიტიკურმა კომბინაციამ ვერ შეაცვლევინა ოსმალეთს განზრახვა და თავის იმპერიალისტურ მიზნებზე ხელი ვერ აიღებინა. ნათლათ გამოჩნდა, რომ მთელი საზავო მოლაპარაკება მხოლოდ კომედია იყო, მასხრობა გათავხედებული მტრისა, რომელსაც იმდენად დაუძლურებულად მიაჩნია მოწინააღმდეგე, რომ რასაც სურს, იმას იზამს. ნათლად გამოჩნდა, რომ ოსმალეთს ამიერ-კავკასია დასახული ყავს ისეთს ერთეულად, რომელსაც ყოველნაირი ... ნების ყოფა შეუძლიან მოახვიოს; ეს კი ისეთი მდგომარეობაა, რომელიც დამონავებასა და ოსმალეთის ყმად გახდომას უდრის. ოსმალეთმაც გვაგრძნობინა, რომ მისთვის ბათომი მხოლოდ ოფიციალური სადავო ადგილია, ფაქტიურად კი იგი დაიპყრობს მთელს ამიერ კავკასიას და საქართველოს, სადაც თავის ბატონობას განამტკიცებს. ეს მიზნები ოსმალეთისა ცხადი და ნათელი გაჰხდა მას შემდეგ, რაც ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობას მან ანაცვალა დავა სამი ოლქის შესახებ. მართლაც, პოლიტიკური მდგომარეობა ამიერ-კავკასიისა იმ დროს, როდესაც საზავო მოლაპარაკება სწარმოებდა, ასეთი იყო: ამიერ-კავკასია მზად იყო დამოკიდებლობა გამოეცხადებინა, თუ ოსმალეთი უზრუნველჰყოფდა ამ დამოუკიდებლობას და შეამცირებდა თავის აგრესიულ მიზნებს, ყოველ შემთხვევაში აგრძნობინებდა ამიერ-კავკასიის ერებს, რომ ოსმალეთის, როგორც სახელმწიფოსთვის, პოლიტიკურად საინტერესოა ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობა, ისე მიიქცა გერმანია უკრაინაში. რუსეთი მუ ამ საფრთხეს წარმოადგენდა ოსმალეთისთვის და ამიტომ საბუთი გვ... და გვეფიქრა, რომ ოსმალეთი წრფელად მოისურვებდა, თავის პოლიტიკური მომავალის უზრუნველ... ყოფელად, ოსმალეთსა და რუსეთს შუა... აღემართა დამოუკიდებელი სახელმწიფო —ამიერ-კავკასია. სწორედ ამიტომ ამიერ-კავკასიის სეიმმა პრინციპიალურად შესაძლებლადა სცნო ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობის აღიარება. ფაქტიური განხორციელება ამ დამოუკიდებლობისა დამოკიდებელი იყო იმაზე, თუ როგორ მოიქცეოდა ოსმალეთი: უზრუნველჰყოფდა ამ დამოუკიდებლობას, თუ პირიქით, ისეთს მდგომარეობაში ჩააყენებდა, რომ დამოუკიდებლობაზე ლაპარაკიც კი ზედმეტი იქნებოდა. საზავო მოლაპარაკების დროს ცხადი გახდა, რომ ოსმალეთს არ აინტერესებს საკითხი დამოუკიდებელი ამიერ კავკასიის შექმნისა. ყოველ შემთხვევაში მას უფრო მეტად აინტერესებს დაპყრობა ჩვენი ქვეყნისა. თუ იგი მაინც ლაპარაკობდა ამიერ კავკასიის დამოუკიდებლობაზე და დაჟინებით მოითხოვდა, გამოეცხადებინა დამოუკიდებლობა, ამას მხოლოდ ერთი აზრი ჰქონდა: ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადებით მას ჰსურდა ისეთი იურიდიული პირობები შეექმნა, როდესაც დამარცხებულ ამიერ-კავკასიას სეპარატიულად შეეკრა ზავი და მომავალ სამშვიდობო კონფერენციაზე წარედგინა ახალი პრეტენზია?

რომელთაც ზურგი გამაგრებული ექნენებოდა „დამოუკიდებელი“ ამიერ-კავკასიის „თავისუფლად“ დადებულ ხელშეკრულობით.

ნამდვილი მიზანი ოსმალეთისა კი ერთია: ამიერ-კავკასიისა და კერძოდ საქართველოს დაპყრობა. ამ პირობებში უძდება ბრძოლა საქართველოს ოსმალეთთან, რომელიც მთელს თავის იმედებს ამყარებს იმაზე, რომ ქართველი ხალხი მზად არ არის თავისი თავი დაიცვას და მოჰკვდეს თავისუფლებისთვის. ეს იმედები უნდა გაუცრუვოთ ოსმალეთს. უნდა დაუმტკიცოთ მას, რომ ქართველი ხალხი ოსმალეთის მონად დარჩენას სიკვდილს ამჯობინებს, უნდა დაუმტკიცოთ ყველას, რომ ქართველმა ხალხმა იმიტომ არ მოიგლიჯა მეფის უღელი, რომ ახალი, უფრო სასტიკი და ულმობელი, საუკუნო უღელი დაიდოს კისერზე. შთამომავლობა წყევლითა და კრულვით მოიხსენიებს ეხლანდელ თაობას, თუ იგი უბრძოლველად დანებდა მოძალადე მტერს და თავისი საკუთარი ხელით გამოიჭრა ყელი. ამ დანაშაულობას შთამომავლობის წინაშე ეხლანდელი თაობა ვერ ჩაიდენს“.

* * *

ეს-ერების გაზეთი „ზნამია ტრუდა“ ეხება შექმნილ მდგომარეობას, სწერს:

„ომისთვის საკმაო არ არის ფული და პური. ის შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა არსებობს აღფრთოვანება, საყოველთაო ენტუზიაზმი.

წერეთელი ამბობს: ოსმალეთს ჩვენთან ბრძოლაში იმედი აქვს ჩვენი შინაური გახრწნის, ანარქიის და არევდარევის, „მუსავატი“ რჩება სეიმში და მთავრობაში, მაგრამ თავდაცვის კოლეგიაში არ შედის“.

ყველა ამის გამო „ზნამია ტრუდა“ იხსენიებს წერეთლის განცხადებას, რომ შესაძლოა ჩვენ ზურგიდან დაგვეცენო და თხოულობს:

„მიეცით ამიერ-კავკასიის დემოკრატიას გარანტია ზურგიდან თავდასხმისაგან. მაშინ თქვენ შექმნით ენტუზიაზმს, მაშინ აინთება რწმენა ბრძოლის შესაძლებლობაში, შეთანხმების გაგრძელება წარმოუდგენელია“.

კარგია, რასაკვირველია, გარანტიის მიცემა, რომ ზურგიდან არ დაესხან დემოკრატიას, მაგრამ ვის შეუძლია დღეს ასეთი გარანტიის მიცემა. ის ფაქტი, რომ „მუსავატი“ თავდაცვის კოლეგიაში არ შევიდა, ბევრ რამეს ლაპარაკობს, ვისაც გაგება შეუძლია. თუ „ზნამია ტრუდა“ ფიქრობს, რომ „მუსავატს“, ესე იგი ადგილობრივ ოსმალებსაც ომი უნდა გამოუცხადოთ, ეს პირდაპირ უნდა თქვას.

* * *

„ვოზროჟდენიე“-ს, პირიქით, ის მიაჩნია საზარალოთ, რომ სეიმი თავის მოწოდებაში ხაზგასმით მიმართავს გლეხებს და მუშებს. ის სწერს:

„ჩვენ არ ვეთანხმებით სეიმის მოწოდებას და არ შევუდგებით ამ მომენტში მცხოვრებთა სხვადასხვა კატეგორიებათ დაყოფვას და არ მივუთითებთ სხვადასხვა მოტივებზე, რომ ბრძოლისთვის მსხვერპლი გავაღებინოთ, არამედ მივმართავთ ყველა ჩვენებრ მოაზროვნეთ და ყველა მკითხველებს მიუხედავათ მათი ვინაობისა, რომ ხელი შეუწყონ საერთო სამშობლოს ხსნას, მისი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დაცვას“.

ძალიან სასიამოვნოა, რომ „ვოზროჟდენიე“ საერთო სამშობლოზე და მის კეთილდღეობაზე ზრუნავს. მაგრამ სეიმის მოწოდებაც ხომ საერთო სამშობლოს დასაცავათ მიმართავს ამიერ-კავკასიის ყველა ერებს და სრულიად სამართლიანათ აფრთხილებს განსაკუთრებით მუშებს და გლეხებს, რომ სწორეთ მცხოვრებთა ეს კატეგორიები დაკარგვენ ყველაზე მეტს, თუ ოსმალეთმა ჩვენი ქვეყანა დაიპყრო. თუ კი გაბატონებული კლასებიც დაივიწყებენ თავის ჯგუფურ ეგოიზმს და დემოკრატიასთან ერთათ ხელს შეუწყობენ სამშობლოს დაცვას, ამას ყველანი სიამოვნებით შეხვდებიან და ჩვენც ვუსურვებთ „ვოზროჟდენიე“-ს, რომ ის კვლავ მალე არ დაბრუნებოდეს „საქართველოს“ გზას და ქვეყნის დაცვისათვის ხელის შეშლას.

## ჩრდილო კავკასიის ამბები

ჩრდილო კავკასიაში მშვიდობიანი ცხოვრება თანდათან ფეხს იკიდებს.

თერგის კომისარიატმა მოახერხა ინგუშების და ყაზახ ოსების შერიგება. ომი შესწყდა, სანგრები დახურეს და შესაძლებელია ხალხი ყანების მუშაობას შეუდგეს.

ეხლა მუსულმან-ოსებს და სხვა ოსებს ეროვნული ყრილობა აქვთ.

2 აპრილს მოწვეული იყო ინგუშების ყრილობა.

კავკავში საბჭოში ბრძოლა მენშევიკების და ს.-რევოლიუციონერების გამარჯვებით დასრულდა. ბალშევიკებმა განაცხადეს, რომ განაგრძობენ ბრძოლას ძალა-უფლების ხელში ჩასაგდებათ.

კავკავის რკინის გზა უნუგეშო მდგომარეობაშია, ნავთი არ არის და შესაძლებელია ორ სამ დღეში სულ შესწყდეს მოძრაობა.

იმედი აქვთ ინგუშების ყრილობის შემდეგ გროზნიდან ბესლანამდე აღდგენილ იქნება მოძრაობა და ნავთსაც შემოზიდავენ.

1 აპრილს სადგ. პროხლადნაიასა და კავკაზსკაიას შუა რკინის გზაზე მოძრაობა სრულიად შესწყდა.

მოძრაობა შესწყდა აგრეთვე ცარიცინისკენ და სად. ტიხორცკაიამდე.

## ბაქოს ამბები

სეიმის ს.-დემოკრატიულმა ფრაქციამ განიხილა ბაქოს უკანასკნელი ამბები, რომელსაც შესაძლებელია ხელ-ახალი სისხლის ღვრა მოჰყვეს, რადგან ქალაქზე შეიარაღებული მუსულმანები მოდიან და დაადგინა, რომ საჭიროა:

1) წინადადება მისცეს ორივე მებრძოლ მხარეს დაუყოვნებლივ შესწყვიტოს სამხედრო მოქმედება.

2) გამოიყვანოს ბაქოდან ეროვნული ჯარის ნაწილები.

3) მიანდოს ბაქოს დაცვა ინტერნაციონალურ წითელ გვარდიას, რომლის ხელმძღვანელი უნდა დაინიშნოს ქალაქის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ორგანიზაციების ურთიერთ შეთანხმებით.

4) უზრუნველჰყოს რკინის გზაზე მოძრაობა ბაქოდან თფილისამდე.

5) მოხდეს ბაქოს მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს ხელ-ახალი არჩევნები.

6) შექმნან გლეხთა დეპუტატების საგუბერნიო საბჭო.

ყველა ამის სისრულეში მოსაყვანათ ფრაქციამ გადასწყვიტა წინადადება მისცეს სეიმს გაგზავნოს ბაქოში დელეგაცია, რომლის უმრავლესობა ს.-დემოკრატები უნდა იყვნენ და მათთან ერთად ამიერ-კავკასიის ცენტრის დელეგატი.

გადასწყვიტეს დელეგაციის მეთაურათ დანიშნონ ბაქოში კარგათ ცნობილი ის. რამიშვილი.

---

31 მარტს ბაქოს ბალშევიკებმა ერთი ბათალიონი ქვეითი ჯარით, ტყვიის მფრქვეველებით და ჯავშნიან მატარებლით სად. პირაგატიდან აჯიკაბულზე შეტევა დაიწყეს. ბრძოლა მოხდა პირაგატიდან სამ ვერსზე მაღლობზე. ბალშევიკები დამარცხდენ და უკან დაიხიეს. მოუკლეს 400 კაცი, მოწინააღმდეგეს 15 კაცი მოუკლეს (მათ შორის 3 აფიცერი). („ტ. ლ.“)

## ჟურნალ-გაზეთებიდან

### ჩვენი სისუსტის მიზეზი.

„ბორბა“-ში ვლ. ვ. სხვათა შორის სწერს: „მძიმე ტვირთი დაიდო კისრად ამიერ-კავკასიამ იმ დროს, როცა მან მიიღო ოსმალეთის გამოწვევა იარაღით ხელში დაიცვას თავისუფლება და დამოუკიდებლობა.

ომისთვის საჭიროა ჯარი. ამიერ კავკასიაში საკმაოდ მოიპოვება შეიარაღებული ხალხი, მაგრამ ჩვენ არ გვყავს ჯარი.

ჩვენ ვიცით, რომ ჯარის შექმნა არ შეიძლება სამი დღის გინდ სამი თვის განმავლობაში.

ჯარის შედგენის ძველმა წესმა, როცა ამიერ-კავკასიიდან ხალხი სხვა გუბერნიებში გაჰყავდათ, თავის გუბერნიაში არ ტოვებდნენ, ჭეშმარიტად საწყალ მდგომარეობაში ჩააგდო ამიერ-კავკასია.

დიდი შრომა დასჭირდება ამიერ-კავკასიას ახალი ჯარის შესაქმნელად, რაიც უნდა მოხდეს მეტად ძნელ პირობებში—წინიდან მტერი გვებრძვის, „ზურგში“ გამცემლობა, ირგვლივ ანარქიაა.

სისულელე არ არის ოსმალეთთან ბრძოლაო?—ამბობენ.

ჩვენ ხომ მეტად სუსტნი ვართ!

ჩვენ არაფერი არ გვაქვს—არც ზარბაზნები, არც თოფები, არც ყუმბარები, არც ტყვიები, არც პური, ფული, ხალხი, მოკავშირენი და სხ.

ჩვენ წინ არაფერი არ არის, გარდა დამარცხებისაო, გაიძახიან.

ამას ლაპარაკობს ის ხალხი, რომელიც მზათაა მთელი ამიერ-კავკასია, მისი ქალაქები, სოფლები ოსმალეთის ჯარებს დაუტოვონ სანავარდოთ.

ჩვენ ზარბაზნები არ გვაქვსო. ეს არ არის მართალი. ჩვენ არა გვაქვს ისეთი არტილერია, როგორიც რუსეთის ჯარს უკან დახევის დროს ჰჰონდა, მაგრამ ის, რაც ჩვენ დაგვრჩა, მაინც შეადგენს რამდენიმე ასეულს. რამდენჯერმე მეტია ოსმალეთის არტილერიაზე.

თოფები საკმაოთ გვაქვს. იმაზე მეტიც, რაც საჭიროა. ყველას სახლში აქვს თოფი. მიმართეთ ყველა ეს თოფები მტრისაკენ და მაშინ დაითვალეთ ცოტა იქნება თუ ბევრი. ვიდრე მშვიდობიან მცხოვრებთ თოფები არსენალებში არ მიუტანია, ვიდრე თოფები ათი ათასობით სხვადასხვა პირებს უჭირავთ ხელში, რომლებიც ფრონტის დასაცავათ არ მიდიან, განა შეიძლება ლაპარაკი იარაღი არ არისო?

პატრონებიც მოიპოვება. მხოლოდ საჭიროა მისი შეგროვება. ყუმბარების მხრითაც არ არის საქმე უიმედოთ. ჯერ არ გაგვიგონია, რომ ზარბაზანი უყუმბაროთ არის, არ მოქმედობსო.

ჯერჯერობით ჩვენ დავკარგეთ ისეთი ციხეები, რომელშიაც ყუმბარები დიდხანს იქმარებდა, რომ მტრის მიერ ყოფილიყო გარშემორტყმული.

პურს განა სულთანის მონებათ გახდომა მოგვცემს?

ფულიც არის ბლომათ, მაგრამ ის ისეთი ხალხის ხელშია, რომელთათვის ომი არც იმდენათ სამძიმო საქმეა. აიძულეთ ეს ფულის პატრონი ხალხი ხალხთან ერთათ გაინაწილოს ომის მთელი სიმძიმე.

აიძულეთ მათ იგრძნონ, რომ ომის დროს, როცა ხალხს ბედი სწყდება, განზე გაჩერდება ხოლმე მხოლოდ გამცემი! გააგებიეთ ამ ფულიან ხალხს, რომ ის ხალხი, რომელიც იბრძვის არსებობისათვის, შესძლებს მოღალატეებს პასუხი მოსთხოვოს, მოიმოქმედეთ ყველა ეს და შემდეგ ილაპარაკეთ დაგვაყრევინებს იარაღს თუ არა უფულობა.

საფრანგეთში გაწვეულია ბრძოლის ველზე 55 წლამდე ყველა მამაკაცი. ჩვენში კი, ახლა იწყება მობილიზაცია 28 წლამდე.

გერმანიაში არ მოიპოვება ისეთი მოქალაქე, რომელიც თავდაცვის საქმეზე არ მუშაობდეს. ჩვენში კი, არავისთვის არ შეადგენს საკვირველებას, რომ ქალაქში ჯანსაღი მამაკაცი ხანჯლით წელზე ყვავილებს ჰყიდის.

ამიერ-კავკასიის დემოკრატიას მოკავშირეებიც ჰყავს. რუსეთიდან მილიონობით ხალხი გულის ფანცქალით უცქერის იმ ბრძოლას, რომელიც ამ ჟამად ამიერ-კავკასიაში სწარმოებს. და შეიძლება ახლოსაა ის ჟამი, როცა ჩვენი ნაცნობი ძმები საერთო რევოლიუციონურ ბრძოლაში ჩვენ გვერდში იქნენ.

ნაადრევია ტირილი იმის შესახებ, რომ ჩვენ არაფერი არა გვაქვს.

ჩვენ რომ სუსტნი ვართ, ეს მართალია, მაგრამ ჩვენი სისუსტე ნივთიერი უძლურება არ არის.

ჩვენი სისუსტე უორგანიზაციობაა, მტკიცე გადაწყვეტილების არ ქონა, რომ ბოლომდე გავმაგრდეთ, არ გვაქვს რწმენა საკუთარი თავის.

ჩვენ სულიერად უძლურნი ვართ. ჩვენს სულში გახრწნის ზხამია, ბრძოლის წინ ჩვენში გამეფებულია დამარცხებულის ფსიხოლოგია...

მაგრამ სარიყამიშის დაცემის შემდეგ სომხის ჯარის ნაწილები სულიერათ ამაღლდენ, გამხნევდენ...

ბათუმის დაცემის შემდეგ ცნობა მოვიდა მტრის მიერ გარშემორტყმულ ფორტების გარშემო ჩვენ ჯარების მიერ გმირული ბრძოლის გაჩაღების შესახებ...

## ახალი ამბები

ბათუმის ბედის შესახებ ჩვენს რედაქციას აურაბელი შეკითხვები მოსდის. საჭიროთ ვთვლით ვაცნობოთ ჩვენს მკითხველებს, რომ ცნობები ბათუმის დაბრუნების შესახებ ჩვენ ჯერ კიდევ გუშინ წინ მივიღეთ, მაგრამ ეს ხმები შემოწმებული არაა და ამიტომ არ დავბეჭდეთ. ერთი რამ კი დაბეჯითებით შეიძლება ითქვას: ბათუმი საბოლოოთ არ გადასულა ოსმალთა ხელში და იქ სასტიკი ბრძოლა სწარმოებს. რითი გათავდება ეს ბრძოლა, ახლავე არ შეიძლება ამის თქმა. აქვე ჩვენ ვბეჭდავთ ოფიცრის ნაამბობს. ბათუმიდან 3 აპრილს ღამით თფილისში ჩამოვიდა ოფიცერი შტაბში მოხსენების გასაკეთებლათ, რომელსაც შემდეგი უთქვამს: ოსმალები შემოვიდენ ქალაქში 1 აპრილს. ამ დროს ფორტების უმეტესობა დაკავებული ჰქონდა მათ. ფორტების გარშემოც ბრძოლა იყო გაჩაღებული. დილის 6 საათზე ჩვენი ჯარი იერიშით მივიდა ოსმალებზე, მაგრამ წვიმამ და მოღრუბლულმა დღემ შეუშალა ხელი იერიშს. ამ დროს ჩვენმა ჯარმა მეჩეთთან დაინახა თეთრი დროშა და იფიქრა: ეს არის ნიშანი ზავის ჩამოგდებისო. ჩვენმა ჯარმა ყურადღება ამ დროშას მიაქცია. როგორც გამოირკვა, ეს იყო ერთნაირი პროვოკაციული ნიშანი, რომ ბათუმი დაიკავეს ოსმალებმა, რომელნიც ის იყო შემოჭრილიყვნენ ქალაქში და ჩვენს რაზმს ჩაქვის მიმართულებით დაახვედნენ. ასე რომ, ქალაქი პროვოკატორულ მოქმედებით დარჩა მტერს. ღამე, 1 აპრილს სევასტოპოლიდან მოვიდენ ცენტრო-ფლოტის სამხედრო გემები. გაჩაღდა ბრძოლა. ჯავშნოსნებმა დაუშინეს ფორტებს ყუმბარები. ამავე დროს ჩვენი ჯარიც იერიშით მივიდა. ოსმალები განდევნილ იქნენ ფორტებიდან. 2 აპრილს დილის 8 საათზე, როგორც ქალაქი, ისე ყველა ფორტები გაწმენდილ იქნა ოსმალთა ჯარებისაგან. ამ ოფიცრის სიტყვითვე ეხლა ყველა ნაციონალური ჯარის ნაწილები შეერთებულია, ჯარისკაცის ვინც უკან დახევას განიზრახავს, ხვრეტენ.

◆ **დღეს, საღამოს, 5 საათზე,** დანიშნულია სასწრაფო კრება ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის და თფილისის კომიტეტის რ. ს. დ. მ. პ. ბიუროს ბინაზე გოლოვინის პროსპ. № 12. ვსთხოვთ ყველა წევრებს აუცილებლად დაესწრონ.

◆ **თავდაცვის შტაბის განკარგულებით** შეიპყრეს ჯარისკაცი სერგო ნიკიფოროვი, რომელსაც რევოლვერი გაეყიდა. ქუჩაში სროლისათვის შეიპყრეს 8 სამილიციო უბნის მილიციონერი კაკურიძე და მოქალ. ალექსი გულინი. რუსის კორპუსის ჯარისკაცები: ლუკიანოვი, ელენცი, ავტუნინი, ვავილევი, მამლეევი, გრ. შტორმანი დაატუსაღეს ქურდობისთვის. ამავე შტაბის განკარგულებით დატუსაღებულნი იქნენ სხვადასხვა ბოროტმოქმედებისთვის ჯარისკაცები კარაპეტ მანუკიანი, ტულიევი, ივ. სალამბეკოვი და კონ. პაპუკაშვილი.

◆ **სტუდენტების კრება** შესდგა 3 აპრილს. კრება მრავალრიცხოვანი იყო. დაადგინეს შემოიღონ საყოველთაო შრომის ბეგარა და აგრეთვე გადაწყდა დაიკეტოს სასწავლებლები.

◆ **ლტოლვილები** მრავლად მოდიან თფილისში. დაახლოვებით 30 ათასი კაცი იქნება ამ ჟამათ ქალაქში. ქალაქის გამგეობასთან არსებულ ბინის განყოფილებას აზრათ აქვს მოახდინოს კლუბების, ბიოგრაფების და სხ. შენობების რეკვიზიცია ლტოლვილთა დასაბინავებლათ. ლტოლვილები მოდიან თფილისში რკინის გზით, გზა-ტკეცილით—ყარსის ოლქიდან, არტაანიდან, ბორჩალოს მაზრიდან, კახეთიდან და სხვა ადგილებიდან—ფურგონებით, ურმებით. პირველ დღეებში უმთავრესათ მოდიოდენ რუსები, აისორები, ბერძნები. უკანასკნელ დღეებში სომხებიც მრავლათ მოდიან. რამდენიმე შენობა (ქალაქის სკოლის შენობები) მათ თავისი ნებითაც კი დაიკავეს. აზრათ აქვთ ამის შემდეგ ლტოლვილნი მიიღონ ნავთლუღში სამხედრო-საეტაპო პუნქტში, საიდანაც შემდეგ გაანაწილებენ.

◆ **ქალაქის საბჭოს სხდომა** 2 აპრილს ხმოსანთა საკმაო რიცხვის დაუსწრებლობის გამო არ შესდგა. სხდომა შესდგება დღეს 5 აპრილს. სხდომა კანონიერათ ჩაითვლება უკეთუ მას 20 ხმოსანი დაესწრო. საბჭოს ფრაქციებს წინადადება მიეცა აიძულონ ფრაქციის წევრი ხმოსნები, რათა მათ სხდომები არ გამოტოვონ.

◆ **საფოსტო და სამგზავრო** მატარებლები 2 აპრილიდან გაიგზავნება ფოთში. სამტრედიიდან თითო ვაგონს მეორე და მესამე კლასისა მოაბამენ ქობულეთამდე მოსიარულე ერთ-ერთ მატარებელს.

◆ **კავკასიის ფრონტის შტაბის** და სხვა სამმართველოების მიერ ანგარიშის წარდგენის ვადა მთავრობამ 1. მაისამდე გაახანგრძლივა. წინადადება მიეცა შტაბს და სხვა სამმართველოებს დააჩქარონ საქმეთა ლიკვიდაცია.

◆ **საჭმელი ზეთი** მიიღეს თფილისში არმავირიდან ფუთით. სასურსათო სამინისტრო საგუბერნიო სასურსათო კომიტეტს დაუთმობს 3,900 ფუთს, 62 მანეთის კვალობაზე ფუთს.

◆ **გადამდები ავადმყოფობა** ქალაქში მატულობს, რასაც ხელს უწყობს ლტოლვილების ქალაქში გამრავლება. სახადი გავრცელებულია აგრეთვე ტყვე ოსმალთა შორის.

◆ **ქალაქის ხარჯთ-აღრიცხვის** თანახმათ, რომელიც საბიუჯეტო-საფინანსო კომისიამ დაამტკიცა შემოსავალი უდრის 1918 წელს 19,791,223 მ. 82 კ., გასავალი 24,658,273 მ. 91 კ. ასე, რომ დეფიციტი იქნება 4,867.050 მ. 9 კ.

◆ **ხარკოვიდან** 400 სომეხი მოხალისე ჩამოვიდა თფილისში, რომლებიც ფრონტზე მიემგზავრებიან. ჩამოსულებმა სთქვეს, რომ სურსათის ნაკლებობა არ ემჩნევა. არც ფასებია დიდი, მხოლოდ პურის ნაკლებობა საგრძნობია. სულზე იძლევიან ერთ მერვედ გირვანქას. ყველა მსხვილი წარმოებები, სასტუმროები, ბანკები, დიდი სახლები და სხ. საზოგადო საკუთრებათ არის გამოცხადებული. სახლები სახლის კომიტეტების განკარგულებაშიაო და სხ.

◆ **ტრამვაი** ახალი წესის თანახმათ ნახევარი საათით ადრე იწყებს მოძრაობას დილით, ამიტომ ნახევარი საათით ადრე სწყდება ღამით მოძრაობა. უკა

---

## რაშია ჩვენი რევოლიუციის სუსტი მხარე?*)

1

რევოლიუციის ერთი წელიწადი—ეს უდიდესი სამაგალითო გაკვეთილია ისტორიაში, უკეთ ვთქვათ, ეს არის მთელი დიდი წყება სამაგალითო გაკვეთილებისა. რევოლიუციის მოღვაწემ, რომელიც არ დაიქანცა ბრძოლისაგან, რომელიც უიმედობამ ვერ გასტეხა და ჩამოაშორა წითელს დროშას—მუდამ უკან იხედებოდეს და ანგარიშს უწევდეს განვლილ გაკვეთილებს: [illegible]ნდა ნათლად გაითვალისწინოს და [illegible]კვიოს ჩვენი მარცხის მიზეზები, [illegible]ნდა იმოდენა სიმამაცე იქონიოს, [illegible] არ დაფაროს რევოლიუციის მსვლელობაში ჩადენილი შეცდომები, რომ მომავალში ისინი აღარ გამეორდენ. რევოლიუციის ერთი წელიწადი მცირე მანძილი არ არის; თავის მნიშვნელობით იგი უდრის ჩვეულებრივ ათეულ წლებს. ეს წელიწადი ჩვენს წინაშე დევს, როგორც ისტორიული წარსული, ჩვენ შეგვიძლია მისი შესწავლა ისტორიულის თვალსაზრისით.

პროფესორი კლიუჩევსკი, როდესაც მეცხრამეტე საუკუნის ისტორიის კვლევას იწყებდა, თავის მსმენელებს ასე აფრთხილებდა: „ეხლა ჩვენ უნდა მივმართოთ იმ მოვლენებს, რომლებიც ჩვენთან მეტის მეტათ ახლონი არიან... გულდამშვიდებული დაფასება მათი ისე ადვილი არ არის, როგორც ძველი დროის მოვლენებისა. წარსული ნახატ გავს—მისი ჭვრეტა ცოტა შორიდან უნდა“.

ეს სიტყვები სიმართლეა, მაგრამ თვით კლიუჩევსკიმაც, რომელიც ჭეშმარიტი მეცნიერი იყო, პუბლიცისტობა ვერ ჩამოაშორა თავის მეცნიერებას. და რევოლიუციის მოღვაწე პუბლიცისტმაც უნდა იცოდეს ახლო წარსულის დაფასება ისტორიული თვალსაზრისით.

2.

როდესაც რევოლიუციამ იფეთქა, ჩვენ, რომლებიც მას აღფრთოვანებით მივესალმეთ, ცოტა არ იყოს უბრალოთ, მარტივათ გვქონდა წარმოდგენილი რევოლიუციის მსვლელობა: მის მსვლელობაზე რაციონალისტური, ლოღიკური, თითქმის მათემატიკური შეხედულობა გვქონდა.

რევოლიუციამ იფეთქა სწორეთ იმ დროს, როდესაც სახელმწიფოს უშველებელ ტვირთათ აწვა საშინელი ომი, რომელიც ხალხს თავს მოახვია თვითმპყრობელმა მთავრობამ; ეს ომი, ამიტომ, ვერ იქნებოდა პოპულიარული: **ხალხი სხვის სარგებლობისთვის იბრძოდა, სხვის მიზნების განსახორციელებლათ,** მაშასადამე, აღფრთოვანებით, თავგამოდებით ვერ იბრძოლებდა. აი რუსეთის სამხედრო მარცხის ერთი მიზეზთაგანი.

რევოლიუციის დაწყების შემდეგ, ჩვენის ანგარიშით, ყველაფერი ძირიანათ უნდა შეცვლილიყო: თუ ხალხი აქამდის ძალდატანებით იცავდა თავის სამშობლოს დედინაცვალს, ამიერიდან მან იპოვა მშობელი დედა და მას დაიცავს შვილური სიყვარულის მთელი სიძლიერით. რევოლიუცია ხალხს აძლევს მიწას, 8 საათის სამუშავო დღეს, მუდამ ჟამს სანატრელს თავისუფლებას,—ომის წაგება კი ყველა ამ ბედნიერებას ხელიდან გამოაცლის მას. მაშ რაღა ლაპარაკი უნდა, რომ ხალხი თავგამოდებული დაიცავს სამშობლოს და რევოლიუციას? ვის დაებადება ეჭვი, რომ ყოველი თხრილში მჯდომარე ჯარისკაცს ცხადათ ექნება გათვალისწინებული, რომ იგი დიადს სახალხო საქმეს აკეთებს? ყოველს მუშას, რომელიც დაზგასთან დგას და საომარ მასალას ამზადებს, აშკარათ ექნება შეგნებული, რომ თვითეული მის მიერ მომზადებული საგანი ხალხის ბედნიერებისათვის მზადდება და მაშასადამე ეს შეგნება მაღალი მოვალეობისა მას გაუორკეცებს და გაუათკეცებს ენერგიას. ყოველს გლეხს თვალწინ დაეხატება დიადი ვალი საზოგადო საქმისადმი, იგი ახდის თავის ორმოებს, გახსნის თავის ბეღლებს, სადაც პური ქონდა დამალული და თავის საკუთარ ურმებით ჩაიტანს პურს სადგურებზე სახელმწიფოს საშველათ, რომ მათ შვილებს და ძმებს, რომლებიც თხრილებში სხედან და სამშობლოს დაცვის მძიმე უღელში არიან შებმულნი, პური არ შემოაკლდეთ. ყოველი მოქალაქე, რომელსაც რევოლიუცია სანატრელ თავისუფლებას პირდება, სიყვარულით და ხალისით შეასრულებს იმ საქმეს, რომელსაც უწინ შიშის გამო ასრულებდა. და ეს რევოლიუციონური აღფრთოვანება ლოღიკურის აუცილებლობით მოედება მთელს ხალხს, ყველა მოქალაქეს. **მსხ ერპლი, განუწყვეტელი მსხვერპლი, სიხარულით მოტანილი რევოლიუციის სამსხვერპლოზე**—აი ის მახლობელი გზა რევოლიუციისა, რომელიც ეხატებოდა ჩვენს გონებას.

და იმ დროს, როცა რევოლიუციონური ჯარი თავის მკერდით შეაჩერებს ჰინდენბურგების 42 სანტიმეტრიან ზარბაზნებს და რუსეთს საფრთხე ასცდება თავიდან, ამ დროს აქ, ჯარის ზურგს უკან, მეორე დიადი საქმე გაკეთდება: მოწვეულ იქნება დამფუძნებელი კრება, რომელიც ხალხს მიწას ჩააბარებს, დაანგრევს ძველს თვითმპყრობელურს მმართველობას და მის ადგილას ააშენებს ახალს, თავისუფალს სახელმწიფოს, რომელშიც ხალხს მიენიჭება სრული თავისუფლება.

3

საყურადღებოა სწორეთ ის, რომ ასეთის ლოღიკურის სისასტიკით ქონდათ წარმოდგენილი რევოლიუცია არა მარტო უბრალო, საშუალო მცხოვრებლებს. ასეთივე მსჯელობა გამოსჭვივის რევოლიუციის სათავეში მდგომთა ყოველ სიტყვაში, რევოლიუციონურ მთავრობის ყოველს განკარგულებაში, ყოველს ბრძანებაში. ეს რწმენა ისმის კერენსკის თითქმის ყოველს სიტყვაში, ამნაირ რწმენით იყო გამსჭვალული მისი ბრძანება, სადაც იგი გადაჭრით ამბობდა, ჯარში დავამყარებ „რკინის დისციპლინას, პატიოსნების შეგნებაზე დაფუძნებულსო“. ესევე რწმენა ისმის დროებითი მთავრობის მიერ გამოცემულ მოწოდებაში გლეხთა მიმართ, რომელშიაც მთავრობა მოუწოდებდა გლეხებს, ზიდეთ პური სადგურისაკენო.

რწმენა, რომ რევოლიუცია წინასწარ შედგენილ პლანზე შეიძლება წავიყვანოთ, რომ რევოლიუციის გზა აშკარაა, რომ ამ გზის დანახვა ადვილია და მისი გატკეპნაც კი შეგვიძლია რევოლიუციის უფრო ადვილათ მსვლელობისათვის, აი ის რწმენა, რომელიც სათავეში ედვა ჩვენს მოქმედებას, როდესაც რევოლიუცია დაიწყო.

მაგრამ, როგორც ამბობს კაუცკი, „მსოფლიო ისტორიაში ლოღიკა ყოველთვის კოტრდებოდა კლასიურ ინტერესების წინაშე“. რაღა თქმა უნდა, რომ რევოლიუციამ აქაც სრულიად გააცრუვა ეს რაციონალისტური გულ-უბრყვილო წარმოდგენა. იმათაც კი, ვინც „პიროვნებას“ ისტორიაში დიდს როლს არ უთმობს, იმათაც კი სათანადო ანგარიში ვერ გაუწიეს იმ პირველხარისხოვან ფაქტს, რომ რევოლიუცია **სტიქიური პროცესია,** და მაშასადამე წინასწარ ამორჩეულ გზით ვერ წავა და კაცის ლოღიკაზე ვერ გაივლის. ჩვენს მოქმედებას საფუძვლათ მრუდე წარმოდგენა ქონდა დადებული, ჩვენ გვეგონა, რომ რევოლიუცია ჩვენ მიერ დასახულ კალაპოტში გაემართება, და როდესაც მან მოულოდნელი გზა აირჩია, ჩვენ გავცეცდით, დავიფანტენით.

დღეს წარსულის გაკვეთილები თვალწინ გვაქვს და ჩვენ ისინი უნდა გამოვიყენოთ, რევოლიუციის განვლილი გზა შევისწავლოთ, რომ გამოვარკვიოთ მისი **ბუნება, სული** იმ საზოგადოებისა, რომელშიაც რევოლიუცია სწარმოებს. შესასწავლი მასალა მრავალია, მაგრამ ჩვენ რამოდენიმე მოვლენაზე შევაჩერებთ ყურადღებას.

4.

ყოველს რევოლიუციას თან სდევს ორი თვისება, ორი ბუნება: დამრღვეველი და შემომქმედი, ახალის ასაშენებლად ჯერ საჭიროა ძველი დააქციო. დასაწყისში დანგრევის სურვილი ისე ძლიერია, რომ ყველას გონია, ქვა ქვაზე აღარ უნდა დარჩესო. ნგრევის სიძლიერე მით უმეტესია, რომ ამ ნგრევაში საზოგადოების ყველა უკმაყოფილო ელემენტები იღებენ მონაწილეობას—ისინიც, ვისაც შესწევთ შემოქმედებითი უნარი, და ისინიც, ვინც ამ უნარს მოკლებულნი არიან. ნგრევა ადვილათ ხდება. სიძნელე მაშინ იწყება, როდესაც აშენებას შეუდგებიან; მაშინ გამოჩნდება ხოლმე საზოგადოებრივ ნაწილების სხვა და სხვა მისწრაფებანი.

**სოციალური** ელემენტები, საზოგადოებრივ ძალის მატარებლები, მოქმედობენ მთელისათვის, ერთეულისათვის, პირადულზე და ჯგუფურზე მაღლა დგებიან, მათზე მაღლა აყენებენ იმ **სოციალურს და პოლიტიკურს** იდეალს, რომელიც მათ თვალწინ ესახებათ.

**ანტი-სოციალური, ანარქიული,** არასაზოგადოებრივი ნაწილები, პირიქით, მოქმედებენ ისე, როგორც მათ უკარნახებს წუთიერი სურვილი, პირადული ან, უკეთეს შემთხვევაში, ჯგუფური ინტერესი. პირველ—სოციალურ რიგის ელემენტებს უნარი შესწევთ შორეულ, მომავლის განჭვრეტის, მომავლისთვის მოქმედების მათ ბუნებაში ორგანიზაციული ძალები იმალება. მეორე—ანარქიულ რიგის ელემენტებს კი დღევანდელი კვერცხი ურჩევნიათ ხვალინდელს ქათამს: მომავლის საზოგადოებრივი იდეალი არ ესახებათ თვალ-წინ, ორგანიზაციულ ძალას მოკლებულნი არიან და ამიტომ მათს მოქმედებას არ ატყვია მიზან შეწონილობა, დასახული გეგმა.

სოციალურ ელემენტების მუშაობას **მსხვერპლის** ბეჭედი აზის: პიროვნება, ჯგუფი მუშაობს არა თავის, არამედ საზოგადო ინტერესებისათვის; ისინი ხელმძღვანელობენ არა მარტო „მახლობელის“, არამედ „შორეულის“ სიყვარულით. **„მე კი არა—მთელს, ყველას“**—აი მათი საქმიანობის ლოზუნგი.

ანტი-სოციალურ ანარქისტულ-მეშჩანურ, მეწვრიმალურ ელემენტებს კი, პირიქით, მსხვერპლის მოტანის ნიჭი არ შესწევთ, მათ „საქმიანობას“ **ანგარების** ბეჭედი აზის. ისინი პირადულ ან ჯგუფურ სარგებლობისთვის მოქმედობენ, „მე მავიწროვებდენ, მე მტანჯავდენ, მაშ ეხლა უნდა დამასაჩუქრონ. **რევოლიუცია ჩემთვის, ჩემ სარგებლობისთვისაა“**—აი ამნაირ ჯგუფების ლოზუნგი.

ამ ორ ნაირ ელემენტების ბრძოლა საზოგადოებაში აუცილებელია. რევოლიუციონური მოძრაობის მიმართულება სწორეთ ამ ორნაირ ძალთა განწყობილებაზეა დამოკიდებული. თუ სოციალური ძალები აშკარათ სჭარბობენ, რევოლიუცია პირდაპირი გზით მიდის, სწრაფად ვითარდება, შემოქმედება უმტკივნეულოთ სწარმოებს და მომავლის შენობა საფუძვლიანათ, მკვიდრათ შენდება. თუ სოციალური ძალები სუსტია და ანტი-სოციალური, ანარქიულ-მეწვრილმანური

---

*) ამ წერილში გამოთქმულ ზოგიერთ აზრებს რედაქცია არ ეთანხმება.

რედ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნასკნელი ვაგონები სადგურებიდან ბრუნდება პარკში 11 ნახ. საათზე.

✦ თავი მოიკლა 2 აპრილს ელისაბედის ქუჩაზე ოლღა ლვოვის ასულმა.

✦ დაეხმარეთ გურულებს. კვირას, 8 აპრილს დემოკრატიულ კლუბში „მუშტაიდში" ქართულ წარმოდგენების მართველი წრე გამართავს საღამოს გურულ მეომართა ოჯახების სასარგებლოთ. დავეხმაროთ ჩვენს ძმებს. საღამოს დასაწყისი 7 ნახ. საათზე

**კრებები და მიტინგები.**

**დღეს**, 6 საათზე დანიშნულია რ. ს. დ. მ. პ. მესამე რაიონის კოლექტივის სხდომა. დღის წესრიგი: ომი, მეშვიდე პარტიული კოლექტივის შექმნა და სხვა. სთხოვენ დაესწრონ როგორც კოლექტივის წევრებს ისე კანდიდატებსაც.

— **დღეს**, საღამოს 5 საათზე ბიუროს ბინაზე შესდგება რ. ს. დ. მ. პ. მეორე რაიონის კოლლექტივის წევრთა კრება.

— **დღეს**, 5 აპრილს, საღამოს 5 ს. ბიუროს ბინაზე, დანიშნულია მე 6 რაიონის კოლექტივის წევრთა მორიგი კრება.

# მუშათა წერილები

სადღეისო.

ჩვენი ქვეყანა ისტორიულ ქარიშხალშია გახვეული. ხანგრძლივ ბრძოლით დაღლილი ხალხი, ისევ ომის წინაშე დგას ბრძოლა გრძელდება და ომი ფარულ ხასიათს იღებს. ჩვენ არ ვიცით, რით დამთავრდება ოსმალთა შემოტევა, მაგრამ ერთი ცხადია: ოსმალეთის იმპერიალისტების წინაშე ახალი პერსპექტივები იშლება და ენვერ-ფაშა 1914 წლის სამხედრო გეგმის განხორციელებას შეუდგა.

ბრესტის კომედიამ ნაყოფი გამოიღო; აცვლათ ზავისა დიდი რუსეთის რესპუბლიკა დაფლითეს და გერმანიის შტაბის წინაშე ქედი მოახრევინეს.

ჩვენდა სამწუხაროთ, ბრესტის ხელშეკრულობამ ჩვენ ქვეყანასაც საშინელი ქურცელი გადაუშალა და რასაც ვუფრთხოდით, რის თავიდან აშორებას მოველოდით, მაინც თავს დაგვატყდა.

ყოველივე მოლოდინი გაქრა და გამოსავალი გზები დაიხურა.

ომი, რომელიც არ გვინდა, სწარმობს, გავურბოდით, მაგრამ მაინც თან მოგვდევს... ჩვენი იმედი, რომელიც დღემდის მიქცეული იყო ტრაპიზონისაკენ, მოისპო; ტრაპიზონის დიპლომატიამ თავისი ისტორია დაამთავრა და ქ ფარდა დაეშო, რომლის უკან ჩვენ აღარ ვიცით, რა მოხდება.

მსოფლიო ომმა ჯერ-ჯერობით ჩვენი მხარე გასწირა და ჩვენი ქვეყანა მოსალოდნელია ამ დღეებში ხამმარ ასპარეზათ გადიქცეს და მისთვის საბედისწერო საათმა დაჰკრას, მისი განკითხვის უკანასკნელი წუთები მოახლოვდეს.

დაუნდობელ ცეცხლმა და მახვილმა ამ ოთხი წლის განმავლობაში დიდი ნაწილი კაცობრიობისა ააწიოკა, გაანადგურა და იმპერიალიზმმა თავისი მკაცრი განაჩენი გამოიტანა ბევრი ქვეყნებისათვის.

ჩვენი ქვეყანაც ამ განაჩენის წინაშე დარსდგა და ეს ხდება იმ დროს, როცა საზოგადოებრივი ცხოვრება მოუწესრიგებელია, როცა საერთო ძალთა განწყობილება აფორიაქებულია.

მომენტის მძიმე მოთხოვნილება, ქვეყნისა და თავისუფლების გადარჩენა დღეს ემის ყველას, ვისაც გათვალისწინებული აქვს ისტორიულ მოვლენების მსვლელობა. „ბრძოლა არსებობისათვის" კულტურისა და სიცოცხლის დასახსნელათ, აი საით გადაგვისროლა ბედმა და აი რას გვიყენებს წინ შექმნილი მდგომარეობა.

თუ გუშინ კიდევ სულ სხვაგვარათ იყო საქმე, ცოტა იმედების სხივები ბრწყინავდა, დღეს სურათი იცვლება და უფრო იხლართება მდგომარეობა, მაგრამ ამ დროს უფრო გამხნევებაა საჭირო, რადგანაც ბებელის არ იყოს „ნუ გაგვიტაცებს ნაჩქარევი გამარჯვება და ნურც შეგვაშინებს დროებითი დამარცხება"...

და ჩვენთვის ბათუმის ამბებით არ თავდება ყველაფერი.

ამ განსაკუთრებულ დღეს დიდი მოვალეობა დაგვაკისრა ისტორიამ და პასუხის მგებლობაც დემოკრატიას მიაკუთვნა. დემოკრატიის ხმა გაისმის. ის მოუწოდებს ყველას დაცვისაკენ.

მართალია ტრაპიზონიდგან მოსული დელეგაცია დღეს იტყვის თავის უკანასკნელ სიტყვას სახალხოთ, მაგრამ ჩვენთვის აშკარაა, რომ საჭიროა ბრძოლა იარაღით და ყოველივე საშვალებით.

უეჭველია დამაფიქრებელია, როცა დიდი ნაწილი საეჭვო ნეიტრალიტეტის ქსელშია გახვეული და მით უფრო გამოურკვეველია შინაგანი ტ გარეშე მდგომარეობა, მაგრამ ჯერ მოქმედების უკანასკნელი შეჩერების წამი არ დამდგარა და ამიტომ ნაბიჯს ნაბიჯები უნდა მოყვეს...

ჯერ ყველაფერი არ გათავებულა... ვინ იცის, შეიძლება სულ სხვა ნიავმა გაფანტოს დაგროვილი ღრუბლები.

თ—ლი მუშა.

# მთიულების განცხადება

1 აპრილს ტრაპიზონში ამიერ-კავკასიის მთავრობის მიერ გაგზავნილ დეპეშის მიღების შემდეგ, რომლითაც ის იწვევდა სამშვიდობო დელეგაციას თფილისში დაბრუნებულიყო, ჰაიდარ ბეგ ბამატოვმა მთიულების დელეგაციის სახელით შემდეგი განაცხადა:

„მთიულები ღრმათ დამწუხრებული არიან, რომ ამიერ-კავკასია ვერ იარსებებს, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო ორგანიზმი დაღესტნის და ჩრდილო-კავკასიის მთიულებთან შეუერთებლათ. ერთი მთლიანი კავკასიის შექმნას ბეჯითად გვიკარნახებს ეკონომიური, სტრატეგიული და პოლიტიკური მოსაზრებები. მთიულებისთვის ეს მთავარი საკითხია და ამ მხრით მან უკვე გადადგა ნაბიჯი თფილისში, როცა კავშირი დაიჭირა ამიერ-კავკასიის ეროვნულ და პოლიტიკურ ორგანიზაციებთან. როცა ჩვენ ეს კავშირი დავიჭირეთ, ჩვენ გვრწამდა, რომ კავკასიის ყველა ერები ერთგვარი მოწადინებული არიან მხურვალე სურვილით შეექმნათ მშვიდობიანი ცხოვრება როგორც შიგნით კავკასიაში, ისე მის გარეთ. ჩვენ გვეგონა, რომ ჩვენსა და მეზობელ სახელმწიფოთა შორის არა მეგობრულ დამოკიდებულებას საჩქაროთ ბოლო უნდა მოღებოდა. ჩვენ არ გვგონია, თუ მეზობელ სახელ. წინააღმდეგ მტრულ მოქმედებას დაიწყებდა ამიერ-კავკასია და ამას ისე ვუყურებდით, როგორც მთელი კავკასიისთვის დიდ უბედურებას.

ჩვენ არაფერი დავიშურეთ, ყოველი ძალღონე ვიხმარეთ, რომ გავლენა მოგვეხდინა ამიერ-კავკასიის ხელმძღვანელ წრეებზე, უთანხმოების მშვიდობიანათ გასათავებლათ. ამით ხელვმძღვანელობდით ჩვენ აქაც, ტრაპიზონში. ჩვენ დიდის კმაყოფილებით აღვნიშნავთ, რომ ამიერ-კავკასიის დელეგაცია სწორე გზას დაადგა და ჩვენ სალამს ვუძღვნით მის პოზიციას. დღეს მიღებული ამიერ-კავკასიის სეიმის ვოტუმი ფრიად მძიმე მდგომარეობაში გვაყენებს. მაგრამ ჩვენ ღრმათ გვწამს, რომ კავკასიის კულტურული მოქმედება შესაძლებელი იქნება მხოლოდ მაშინ, როცა მასა და მეზობელ სახელმწიფოებ შორის დამყარდება მეგობრული განწყობილება და ამის განსახორციელებლათ ჩვენ ვიმუშავებთ ისე, როგორც ამდენხანს ვმუშაობდით თფილისში და ტრაპიზონში. ჩვენ ღრმათ გვრწამს, რომ მიუხედავათ დღევანდელ გამწვავებულ მდგომარეობისა, კავკასიის ერები მახლობელ ქვეყნებთან ერთათ მშვიდობიან ცხოვრებას შეუდგებიან და ხელი-ხელ ჩაკიდებული ერთათ იმუშავებენ ქვეყნის კულტურულათ ასაყვავებლათ.

# მოვალეობის მსხვერპლნი

**ამხ. ლევან დადეშქელიანი.**

ვაი რა კარგი საჩინო,
რა ავათ მიგიჩნიესო..
ბოროტებისგან კეთილი,
შურით ვერ გაარჩიესო.

ლეჩხუმის ხალხი მართლაც ვერ მიხვდა და ვერ მიიჩნია ვინ იყო ამხ. ლევან დადეშქელიანი, ამხ. ლევანი მაღალი წოდების წრიდან იყო გამოსული და შეუგნებელ გლეხებს ბევრს ეგონა ამხ. ლევან დადეშქელიანი გლეხების და მუშების ინტერესებს არას დროს არ დაიცავდა, ამისათვის მას ხშირად ეჭვის თვალით უყურებდა ლეჩხუმის შეუგნებელი გლეხობა. ხშირათ შეხვდებით ახლაც ლეჩხუმში იმისთანა შეუგნებელ გლეხს, რომ ამხ. ლევანის სიკვდილი არაფრათ არ მიაჩნია, ის კიდეც იტყვის: მაგისთანა თავადები ადრე უნდა დახოცილიყოვო, მაგათ ისევ მეფობა უნდათო და სხვა.

ლეჩხუმის გლეხობა დღემდე თავად-აზნაურობის უღელქვეშ გმინავდა და მისი მონა-მორჩილი იყო, დღეს კი ამ არევ-დარევის ხანაში კულტურულათ მოუმზადებელი ლეჩხუმის გლეხობა ანარქიის და კონტრ-რევოლუციის მორევში გადაეჩეხა და აღარ იცის რა გზას დაადგეს.

წამოყვეს თავი ნაძირალებმა, პროვაკატორებმა, ყველა ჯურის ხულიგანები შეერთდენ და მათის ჩაგონებით ლეჩხუმის მშრომელი გლეხობა ველარ არჩევს თავის მტერ-მოყვარეს, ყველას ერთნაირ პასუხს აძლევს, ასეთი გაუგებრობა არის დღეს ლეჩხუმში. მოკლეს მუშათა კლასის ინტერესების საუკეთესო დამცველი და მომაგე ამხ. ლევან დადეშქელიანი. ამხ. ლევანმა 1903 წლიდან ამხ. შამშე გელოვანთან ერთათ დასტოვა თავად-აზნაურობის ბანაკი და სულით და გულით მშრომელ ხალხს შეუერთდა, ამის გამო ლეჩხუმის თავად-აზნაურობამ ამხ. ლევან დადეშქელიანი და ამხ. შამშე გელოვანი გარიცხა თავის წრიდან, რადგან თავად-აზნაურობის უპირატესობას ზურგი შეაქციეს, ამისთვის იყო, რომ თავად გადაფხაძეებმა მოკლეს ამხ. შამშე გელოვანი, ერთხელ ცნობილმა რეაქციონერმა ი. ცხვედიანმა უთხრა ლაპარაკის დროს: შენ თავად-აზნაურობიდანაც დაკარგული ხარ და გლეხებიდანაცო; მაგრამ ამხ. ლევანს ამისთანა სიტყვები არ აშინებდა. ამხ. ლევანის ყოფნა არ ყოფნა ორ გარემოებაზე იყო დამოკიდებული. ერთის მხრით ლეჩხუმის თავად აზნაურობის შური, მეორეს მხრით ხალხის შეუგნებლობა; ამ ორმა გარემოებამ შეუწყო ხელი ბოროტ პირებს, რომ მისთვის ვერაგულათ ტყვია დაეხალებათ და მაღლა ამართული წითელი დროშა ძირს დაეგდებინეს,—მოკლეს მუშათა კლასის და კერძოთ ლეჩხუმის მშრომელი გლეხობის მოჭირნახულე, მაგრამ შენ არ დაგივიწყებს შეგნებული მუშათა კლასი, გლეხობა. შენი ხსოვნა, ამხ. ლევან, დაუვიწყარი იქნება ჩვენს გულში.

ნაცნობი გლეხი.

**ამხ. ლევანი.**

ამხ. ლევან დადეშქელიანის ვერაგულათ მოკვლის ამბავმა მეტად აღმაშფოთა.

ნუ თუ უნდა არსებობდეს ქვეყნად ისეთი ადამიანი, რომელმაც ეს საზიზღარი საქმე ჩაიდინა. ნუ ნუ იმ კლასიდან იქნება ეს თავზე ხელ-აღებული, რომლისთვისაც ის თავგანწირულად იბრძოდა, რომელმაც ყოველი თვისი ბედნიერება შესწირა გლეხ-კაცობის განთავისუფლების საქმეს. რომელმაც სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გამოუცხადა თვითმპყრობელობას და მასთან, რაჭა-ლეჩხუმის და სვანეთის თავად-აზნაურობას, რომლებიც ათას ნდობით ბატონობდენ გლეხ-კაცობაზე და მოითხოვა მათი მონობიდან განთავისუფლება, ნუ თუ ასეთი ადამიანი, რომელიც გვერდში უდგა რაჭა-ლეჩხუმის და სვანეთის გლეხ-კაცობას, და მარად კალთით ატარებდა მათს ჭირსა და ვარამს, ასეთი ადამიანის გული ვერაგულათ უნდა გაეგმირა იმ ხალხის შვილთ, რომლისთვისაც თავს სწირავდა ამხანაგი ლევანი? ნუ თუ ამ საზიზღარ მოქმედობას რაჭა-ლეჩხუმის გლეხკაცობა არ გაუწევს ანგარიშს და არ მოითხოვენ იმ ბნელი ძალების საჯაროთ დასჯას, რომლებმაც ეს მკვლელობა მოაწყვეს?

შენ კი, ამხ. ლევან, დარჩენილი ამხანაგები არ უღალატებენ შენს გზას, და მარად ეცდებიან შენი იდეა კვლავ აშუქონ და მით ჰშთაბერონ ძლიერი სული იმ ხალხს, რომლის საკეთილდღეოთ შენ მსხვერპლი შეიქენი. ჩემს მოხუცებულს გულში მარად იქნება შენი სახელი აღბეჭდილი.

ივანე ცქიტიშვილი.

# გლეხობა და რუსეთის რევოლუცია

**სტ. ვოლსკის ლექცია.**

სტ. ვოლსკიმ ამ დღეებში ლექცია წაიკითხა ამ თემაზე: „გლეხობა და რუსეთის რევოლუცია". ლექტორმა გარკვევით დაახასიათა რუსეთის გლეხობა, მისი როლი დღევანდელ რევოლუციაში და მომავალში მისი მოქმედება.

საფრანგეთის 1789 წლის გლეხობა მჭიდროთ შეკავშირებული იყო ქალაქთან და მასთან ერთად აწარმოებდა საზოგადო საქმეს.

რუსეთის გლეხობა კი სტოლიპინ—ჯალათის წყალობით სრულიად ჩაბარდა საზოგადოებრივ ცხოვრებას, მისი ინტერესები სოფელს ვერ გასცილებია. სახელმწიფო ცხოვრებას ჩამოშორებული გლეხი ომმა კიდევ უფრო ჩამოაშორა. და როდესაც პეტროგრადში რევოლუცია სწარმოებს, გლეხობა სოფლიდან თანაგრძნობის რეზოლიუციებს გზავნის, თანაგრძნობას უცხადებს მხოლოდ სიტყვით, პურს კი მაინც არ აწვდის ქალაქს. რევოლიუციონური პარტიები სოფელში მუშაობას იწყებენ, ადგენენ სოფლის კომიტეტებს, მაგრამ ომის გამო თავის კლასობრივ შეგნებას დაშორებული გლეხობა სპობს კომიტეტებს და ნდობას უკარგავს მთავრობას. აი სწორეთ ამ მომენტით სარგებლობენ ბალშევიკები და ახალ ლოზუნგს აყენებენ:

— ძირს დროებითი მთავრობა, თვით ჯარისკაცები, მუშები და ღარიბი გლეხობა შეუდგება ქვეყნის მართვა-გამგებას. მაგრამ ეხლანდელმა ბატონებმა, სახალხო კომისარების საბჭომ, ვერ მოახერხეს ის, რომ ხალხის მასა სახელმწიფო სისტემისთვის დაემორჩილებიათ.

ძლიერ რევოლიუციონურ ძალას—დროებითი მთავრობა იქნებოდა ის, დამფუძნებელი კრება, თუ საბჭოს მთავრობა, უნდა შესძლებოდა ძალა დაეტანებია ხალხისთვის ისე ეცხოვრა, როგორც ამას მოითხოვდა სახელმწიფოს ინტერესები.

ის სოფელი, სადაც ანარქიაა გამეფებული, სადაც აგრარული კითხვა მამულების დატაცებით და დაყოფით სწყდება, სადაც მემამულეთა წინააღმდეგ მოძრაობა დარბევა ხოცვა ჟლეტაში გამოიხატება, თავის დღეში არ დაკმაყოფილდება ბალშევიკების აგრარული რეფორმით.

აი რა ნიადაგზე იზრდება გლეხთა უკმაყოფილება. პირველი გადაჭრილი ნაბიჯი, გლეხების მიერ გადადგმული რევოლიუციის შემდეგ ის იქნება, რომ გლეხობა ყოველივე კავშირს გასწყვეტს პროლეტარიატთან. პროლეტარიატი მარტოთ დარჩება ბრძოლის დროშასთან და რეაქციის ნიადაგზე—გლეხობაში აღმოცენდება ნაპოლეონისებური ძალა-უფლება, რომელიც დელეგაციას გაუგზავნის პატარა მოსაქმე კაცს, ავანტიურისტს ან დემაგოგს, რომელიც პატარა მესაკუთრეს დღიურ ლოზუნგს გაიგებს.

ასე დაახასიათა გლეხობა და მისი როლი რუსეთის სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში სტ. ვოლსკიმ. X.

# გურულების კრება

დემოკრატიული კლუბის შენობა მუშტაიდში სავსეა ხალხით. დანიშნულ დროზე საინიაციატივო ჯგუფის კომისიის სახელით ამხ. კ. ნინიძე კრებას გახსნილათ აცხადებს. მისივე თავმჯდომარეობით კრება იწყებს მუშაობას. ამხ. ნინიძეს მოხსენებას კრება ერთხმად იწონებს. არსდება გურიის თავდაცვის დამხმარე საზოგადოება. კრება ამტკიცებს კომისიის მიერ შემუშავებულ წესდებას (წესდება ცალკე დაიბეჭდება). მიღებულ იქმნა აირჩიონ კომიტეტი შემდგარი 11 კაცისაგან. მათ ევალებათ მიიწვიონ კოოპტაციით საჭირო და მცოდნე პირები ყველა იმ მოვალეობების შესასრულებლათ, რომელიც წესდებაშია გათვალისწინებული. კომიტეტის წევრები: თ. კიკვაძე, არს. მამულაიშვილი, ნინო ნაკაშიძე, ემელ. ლომთათიძე, კირ. ნინიძე, თ. ქარცივაძე, პეპ. ბერეჟიანი, ექიმი ივ. თიკანაძე, ფ. ლორია, ილ. გოგელია, ევს. სამსონია. ამდენივე კანდიდატები. კრებაზე გამოითქვა სურვილი, გარდა იმ შემოწირულებისა და საწევრო გადასახადისა, რომელიც ყველა გურულს ევალება, რომელიც ახლათ დაარსებული საზოგადოების წევრათ შედის, აქ ამავე კრებაზე გაიმართოს შემოწირულების მიღება. „ვინაიდან გურიის თავდაცვის საქმე მიმაჩნია თავისუფლების და რევოლიუციის დაცვათ, ამიტომ ამ წამში შემომაქვს შემოწირულების სახით ათასი მანეთი"—აცხადებს ამხ. ვარლ. რუხაძე. კრება ტაშისცემით ხვდება შემომწირველის გულწრფელ და გრძნობიერ განცხადებას.

თავმჯდომარე ღებულობს შემოწირულებას. ათას ათასი მანეთი შემოაქვთ ამხ. ბათლომე კილაძეს და ასლ. კალანდაძეს, სამას-სამასი მოსე სილ. თალაკვაძეს და სერგო სურგულაძეს, 500 მან. მათე ღლონტს, ასი მ. გიორგი მახარაძეს, ბევრმა შემოიტანა ხუთ-ხუთი თუმანი და ნაკლები. (დაწვრილებითი სია შემდეგ გამოცხადდება). კრებას გურიის თავდაცვის საქმეზე ზრუნვა მიაჩნია დიდ და სასწრაფო საქმეთ, ავალებს ახლათ არჩეულ კომიტეტს დაუყონებლივ პრაქტიკულ ნაბიჯის გადადგმას.

მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია, რომელიც უნდა გაეგზავნოს სეიმის თავმჯდომარეს, გურიის თავდაცვის შტაბს და მთავარ შტაბს მომქმედი ჯარის:

„სამ აპრილს ქ. თფილისში მომხდარ გურულთა მრავალრიცხოვანი კრება, რომელმაც აირჩია გურიის თავდაცვის დამხმარე კომიტეტი, ფიცს სდებს უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დაიცვას მუხანათი მტრის შემოსევისაგან რევოლიუცია და ერი. ფიცს სდებს ყოველგვარი საშუალებებით მხარი დაუჭიროს მთავრობას და სეიმს მათ მიერ გადადგმულ ნაბიჯების გასამარჯვებლათ. აღფრთოვანებით ესალმება იმ გმირთ, რომელნიც იარაღით ხელში მტერს უდგანან წინ და მუხლს იდრეკს იმ მსხვერპლთა წინაშე, რომელთაც ბრძოლის ველზე გმირულათ სიკვდილით მოიპოვეს ჩვენი სასოებითი ხსოვნა და მომავალი თაობის პატივისცემა. ზიზღი და სირცხვილი მათ, ვინც გაურბის ერის დაღუპვისაგან ბრძოლაში გადარჩენას". კრება იშლება. იქვე იმართება არჩეული კომიტეტის კრება. ირჩევენ პრეზიდიუმს: კ. ნინიძე (თავმჯდომარე), არს. მამულაიშვილი (თავმჯდომარის ამხანაგი), ნინო ნაკაშიძე (ხაზინ.), ემელ. ლომთათიძე (მდივანი). კომიტეტი პირველი კრების შემდეგ გამოაცხადებს ბინას, სადაც მიიღება შემოწირულება და აგრეთვე ყოველნაირი მოლაპარაკება გურიის თავდაცვის საქმის წარმატებისათვის.

ემ. ლომ.

---

ჭარბობს, მაშინ რევოლუცია მრუდე, უსწორო გზით მიდის, ფერხდება, ბრკოლდება, გვიანდება და მისი შედეგები არ არის საფუძვლიანი და მკვიდრ ნიადაგზე აგებული.

5.

ჩვენი რევოლიუციის პირველ თვეებშივე აშკარათ გამოჩნდა, რომ რუსულ საზოგადოებაში ანარქისტულ-მეშჩანური, მეწვრიმალური ძალები ბევრათ სჭარბობენ სოციალურ, საზოგადოებრივ ძალებს.

საკმაოა თვალი გადავავლოთ იმ საზოგადოებრივ კლასების მოქმედებას, რომელსაც „რევოლიუციის მამოძრავებელ ძალებს" ვუწოდებთ.

განვიხილოთ პირველათ რუსეთის ჯარის მოქმედება. ლაპარაკი არ უნდა, ძველმა რეჟიმმა ყველაზე ძალიან ჯარისკაცთა მძულვარება დაიმსახურა, იმ ჯარისკაცთა, რომლებიც მოუწყობლათ, გაუცმელათ, უთოფ-იარაღოთ იყვენ გაგზავნილნი ფრონტზე, როგორც უბრალო „ზარბაზნის ლუკმა", მაგრამ ერთნაირი ინერციის წყალობით სამხედრო დისციპლინა ჯარში თვალსაჩინოთ არ ირღვეოდა, სანამ ძველი რეჟიმი არ დაეცა, მაგრამ როგორც კი ძველი მთავრობა ჩამოაგდეს, ჯარს მაშინვე დაეტყო, რომ ძველი დისციპლინის პირობებში ცხოვრება მისთვის აუტანელია, და ჩვენი რევოლიუციის პირველ თვეების ისტორია მასთან ერთად არის სამხედრო დისციპლინის დარღვევის ისტორია: ჯარი იშლება, იგი იქცევა ბრბოთ, რომელიც სტიქიურათ მორბის ფრონტიდან, თავის გზაზე ნიაღვარივით ყველაფერს ლეკავს და შიშის ზარსა გვრის თავისვე მცხოვრებთ. როგორც კი დაიმსხვრა მეფის მუხრუჭები, რომლებიც ჯარისკაცებს ერთ სხეულათ—არმიათ—აერთებდა, ეს სხეული ერთბაშათ იშლება, და მის მთლიანობას ველარაფერი იცავს, ჯარისკაცებს თხრილებში ველარაფერი ძალა იჭერს, ვერც გარეშე საფრთხე, ვერც ის მოსაზრება, რომ სახელმწიფო დაიღუპება და მასთან ერთად დაიღუპება რევოლიუციაც, მისი ბრწყინვალე პროგრამაც, მიწაც, თავისუფლებაც და, მაშასადამე, მთელი ბედნიერი მომავალიც, რომელსაც ამდენხანს ვნატრობდით. როდესაც გარეშე საფრთხეზე მიუთითებდი რუსის ჯარისკაცს, ის გულმაგრათ გეტყოდათ: „დაე შემოვიდეს ნემეცი, ჩვენ პერმის გუბერნიიდან ვართ, შორსა ვართ, ჩვენამდის ვერ მოვა". პირადი ინტერესები, საკუთარი სარგებლობა ჯარისკაცში ისე ძლიერი გამოდგა, რომ არავითარი მითითება „საზოგადო საქმეზე", „რევოლიუციის ინტერესებზე", „მომავალზე", „ხალხის საქმეზე", არ სწვდებოდა მის გულს. თხრილებში ყოფნის დროს მის ყურამდის მიახწია, რომ იქ, მის სოფელში, „მიწას არიგებენ", და ისიც გაეშურა ფრონტიდან სამშობლოში, რომ „გაყოფაში" მიიღოს მონაწილეობა, რომ ცარიელზე არ დარჩეს. გალვიძებულმა შეძენის მადამ სულ მთლად დაჩრდილა, ჩააქრო მის გონებაში წარმოდგენა „მთელზე", „საერთოზე", „სამშობლოზე", „სახელმწიფოზე", „მომავალზე".

ამნაირივე მეწვრიმალურ ანარქისტულმა სულმა იჩინა თავი ჯარში, როდესაც იგი ფრონტიდან შინ მორბოდა: გზაში ანადგურებდა ყველაფერს, რაც კი მოხვდებოდა, ანადგურებდა არა მარტო მაშინ, როდესაც თითონ სჭირდებოდა, ანადგურებდა განადგურებისათვის, უგუნურათ, უაზროთ ანადგურებდა ყველა კულტურის ნაყოფს, ანგრევდა რკინის გზას, ვაგონებს, იტაცებდა, რაც კი ხელში მოხვდებოდა და ყველა ამას გზაში ყიდდა. ჯარისკაცი გადიქცა ჯერ მტაცებელ-ყაჩაღათ, შემდეგ მეწვრიმალეთ, რომელიც ამ ნაყაჩაღარით გზაში ვაჭრობდა; ვაჭრობდა, რითაც კი მოხვდებოდა: რკინის გზის ვაგონებიდან მოტაცებულ კარის რაზიდან და სარკმლის მინებიდან დაწყებული თოფ-იარაღით, ტყვიისმფრქვეველით და ხშირად მძიმე ზარბაზნებით გათავებული, ამნაირი იყო ჯარის „სახლში დაბრუნება". ჯარისკაცებმა სრული უქონლობა გამოიჩინეს იმ უბრალო შეგნებისა, რომ ის, რასაც ანადგურებს, ხალხის კუთვნილებაა, ხალხის ოფლით და მასთან შენი საკუთარი ოფლით შექმნილი, რომ ყველაფერი ეგ სჭირია საზოგადოებას. „მთელი", „საზოგადო" ჯარისკაცისთვის ცარიელი სიტყვები იყო. იგი მარტო წუთიერ სარგებლობას ხედავდა, მხოლოდ იმას, რაც ცხვირწინა ქონდა, რითაც ეხლავე, დღესვე ისარგებლებს, რასაც თავის ხელში ჩაიგდებს. გაშიშვლებული პირადობა, მადა გაღვიძებული „მე" წარმოსდგა წინ და სრულიად გასთელა, გააქრო ფიქრი „მთელზე", მომავალზე".

ამაში გამოიხატა ის **ანარქისტული მეწვრიმალური სული**, რომელიც ფრონტიდან დაბრუნებულ ჯარისკაცში იყო დამალული.

6.

გადავიდეთ **გლეხობაზე**. ის არის საძირკველი მთელი რევოლიუციისა და თავის გლეხურს ელფერს აძლევს მას. მიწის საკითხი გამოდგა სწორედ იმ კლდეთ, რომელზედაც დაიმსხვრა თვითმპყრობელობის გემი. ამ ჭეშმარიტებას აშკარათ ხედავდენ ყველა პარტიები, რომლებიც კი რევოლიუციაში მონაწილეობას იღებდენ. მაგრამ აგრარულ რევოლიუციის მსვლელობას კი თითქმის ყველანი ისევ რაციონალისტურათ უყურებდენ. გლეხები უნდა მოთმინებით მოელოდენ მიწის „მოწყობას", სანამ მის შესახებ დეკრეტს არ გამოსცემს სრულიად რუსეთის დამფუძნებელი კრება. ნაროდნიკული მიდრეკილება აზრისა ჩვენში ძლიერი გამოდგა: თუმც მარქსისტები სულ ნაროდნიკებთან ბრძოლაში იყვენ, მაგრამ მათ მაინც მეტის მეტი დიდი წარმოდგენა ქონდათ გლეხების „თემურ ტრადიციებზე". რევოლიუციონური პარტიების მოღვაწეთ გულის სიღრმეში დაფარული ქონდათ რწმენა, რომ გლეხი ამ რევოლიუციაში უთუოდ გამოიჩენს ძლიერს რევოლიუციონურს ნებისყოფას, მოთმინებას და თემურს დისციპლინას, რომელიც მას უნდა შეეძინა მრავალ საუკუნეთა თემურ წესების დროს.

განვლილმა ერთმა წელიწადმა უნდა ქარს მისცეს ეს თემური ილიუზიები. **რუსის გლეხი ერთობის კაცი კი არა, ნამდვილი მეშჩანი—მეწვრიმალე გამოდგა.** მარქსისტები მუდამ იმას გაიძახოდენ, რომ გლეხის ბუნება წვრილ მესაკუთრული, მეშჩანურიაო, მაგრამ ამ მხრივ გლეხობამ უკიდურეს მარქსისტების მოლოდინსაც კი გადააჭარბა, „მიწა არავისია", „მიწა ღვთისააო", გაიძახოდა გლეხი, მაგრამ ამ ლოზუნგის ქვეშ იგი ახორციელებს უწესრიგო, მოუწყობელს დაპატრონებას მემამულეთა მიწებისას. სოც.-რევოლიუციონერების „სოციალიზაციას" ემხრობა გლეხი სიტყვით, საქმით კი იგი მიწის „დაყოფა-დარიგებას" ელტვის. და ამ თავაშვებულ დაყოფის და დატაცების დროს გამოჩნდა, რომ გლეხკაცს არ შეუძლიან პირადულ სარგებლობაზე მაღლა დადგეს და „საზოგადო", „სახალხო" საქმეს დაუმორჩილოს თავისი მოქმედება; მას აზრათაც არ მოსდის ის, რომ პირად სარგებლობის გამოკიდებამ შეიძლება დასცეს ის რევოლიუცია, რომელმაც მშრომელთა ხელში უნდა გადასცეს მთელი მიწა. არავითარი მოწოდება, არავითარი მუდარება მთავრობისა, დაიცათ მიწის დანაწილებაში წეს-რიგი თუ არ შევიტანეთ, რევოლიუცია დაიღუპება, სახალხო მეურნეობა დაინგრევაო, არ მოქმედობდა გლეხზე. ბალშევიკების ძახილი „მიწა ჩაიგდეთ ხელშიო", გლეხებს იმიტომ მოეწონათ, რომ **ამ საკითხში გლეხი ბალშევიკებზე უფრო ადრე ბალშევიკობდა**, რადგანაც მასში იდგა სული წვრილ-მესაკუთრისა, რომელიც მუდამ პირად სარგებლობას მისდევს და „საზოგადოების", „მთელის" შეგნებამდის ვერ ამაღლდება.

იწყება უსისტემო, უწესრიგო, თავაშვებული დატაცება მიწისა; იტაცებენ, როგორც მოხვდებათ; მიწის განაწილების დროს სამართლიანობას არავინ დაგიდევს; ვისაც რამდენის დაჭერა შეუძლიან იმდენს იჭერს; იჭერენ მიწას გლეხები, რომლებიც აშკარაა, თითონ ვერ მოხნავენ, რადგან არაფერი არ აბადიათ, იჭერენ იმისთვის, რომ მეორე დღეს სოფლის წურბელა—მევახშეს მიჰყიდოს; დაბოლოს, როგორც ადგილობრივი სოფლის მოღვაწეები ერთხმათ აღიარებენ, მოგებაში დარჩენ სწორეთ ეს მევახშეები, რომლებმაც ხელთ იგდეს მიწის უდიდესი ნაწილი და რომლებმაც, მაშასადამე ყველაზე უკეთესათ ისარგებლეს რევოლიუციონურ მოძრაობით. ჯერ საკმაო ცნობა არა გვაქვს, რომ სტატისტიკურათ გამოვიანგარიშოთ ლენინის მთავრობის „აგრარულ რევოლიუციის" შედეგი, მაგრამ ერთს ფაქტს კი არავინ თვით ბალშევიკებიც არ უარყოფს: იმ ფაქტს, რომ **ღატაკ გლეხს რევოლიუციამ მიწა არ მისცა, შეძლებული გლეხი კი მან უფრო გაამაგრა**, გლეხკაცის მეწვრიმალური არსება მეტადრე აშკარად გამომჟღავნდა იმ „პურის აჟიოტაჟში", სპეკულიაციაში, რომელიც ჯერ ომის დროს დაიწყო და რევოლიუციის დროს მართლაც რომ უკიდურესი ფორმა მიიღო. სამშობლოს გასაჭირის მეოხებით ფულის შეძენისა და მისი ტანჯვიდან სარგებლის გამოწოვის საქმეში გლეხკაცმა ერთნაირი კომერციული ალღოც კი გამოიჩინა: მან ისწავლა თავის დროზე პურის გადამალვა და მისი ნაწილ-ნაწილათ გამოჩენა იმ დროს, როდესაც მისი ფასი, რაც შეიძლება მაღლა აიწევს.

**ომმა გლეხი მეწვრიმალეთ გადააქცია.** გადამეტებულმა მოთხოვნილებამ სოფლურ მეურნეობის ყველანაირ საგნებზე, გლეხკაცს ბაზარზე გამოატანია ყველაფერი, რაც კი მას მოჰყავს. მას ყველაფერში კარგს ფასს აძლევენ, კრუხი რომ კვერცხს დასდებს, გლეხკაცი მას ისე კი აღარ უყურებს, როგორც კვერცხს, როგორც მოსახმარ საგანს, რომლის შეჭმა შეიძლება, კვერცხი მას მაშინვე ფულზე გადაყავს. ძროხას რომ მოსწველის, გლეხი მაშინვე ანგარიშობს, ამდენს ერბოში ავიღებ, ამდენს რძეშიო —ყოველი ლუკმა, რომელსაც თვით გლეხი სჭამს ან თავის ოჯახს აჭმევს, მას ყელზე უნდა ადგებოდეს, რადგან მან იცის, რამდენს ფულს უდრის იგი.

გლეხმა **ფულის მოგროვების** გემო გაიგო, მასში „მომგროვებელის" თვისებები ვითარდება: სიძუნწე, ხელის მოჭერა, ანგარება; პირადი სარგებლობის ინსტიქტი ძლიერდება, საზოგადოებრივი კი სუსტდება.

ასეთია რუსეთის გლეხკაცობის თვისებები და რადგანაც გლეხკაცობა საძირკველია რუსეთის საზოგადოებისა და მასთან ერთად რუსეთის რევოლიუციისა, ამიტომ ამ რევოლიუციას ეს წვრილ-მესაკუთრეთა კლასი აძლევს წვრილ-მესაკუთრულ ხასიათს, რომელიც ყველაფერს პირად სარგებლობის ანგარიშით აფასებს, და რომელიც რევოლიუციის იდეურ აღფრთოვანებას უმცირებს და ამით ფრთებს უკვეცავს.

ლ. ნათაძე.

(დასასრული იქნება)

# კახეთის რკინის გზაზე

კახეთის რკ. გზის მუშა-მოსამსახურენი ამ ჟამათ დიდ გაჭირვებას განიცდიან. მათი ჯამაგირები ისე მცირეა, რომ ეხლანდელ სიძვირის გამო მარტო პურისთვისაც არ ყოფნით. ახალი დეკრეტით მომატებული ფულები მათ ჯერ არ ეძლევათ, რადგანაც გზას არ შეუძლია მისი გადახდა. ამიტომ მუშა მოსამსახურეთა მდგომარეობა პირდაპირ აუტანელი შეიქნა, რასაც კიდევ აუარესებს ის, რომ მათ ვერ აწოდებენ პურსა და სხვა სანოვაგეს ისე, როგორც ეს ამიერ-კავკასიის რკ. გზაზეა.

ექსცესების თავიდან ასაცილებლათ კახ. რკ. გზის ც. კომიტეტი ყოველ ღონეს ხმარობდა, მარა ამ ბოლო დროს საქმე ძალიან გართულდა და 25 მარტს ნავთლუღის დეპოს მუშებმა და ხელოსნებმა მუშაობა შესწყვიტეს. იქვე გამართეს კრება და ხმის უმრავლესობით დაადგინეს: ვინაიდან დღევანდელ განსაკუთრებულ პირობებში გაფიცვის გამოცხადება იქნებოდა ანარქიისა და კონტრ-რევოლიუციონური მოძრაობის ხელის შეწყობა, ამიტომ მუშაობა კვლავ განახლდეს. ხოლო დელეგაციის საშვალებით ეცნობოს ამის შესახებ ცენტრ. კომიტეტს, რომ მიიღოს ყოველივე ზომები მომატებული ჯამაგირების დასარიგებლათ. თუ ეს მოთხოვნილება არ დააკმაყოფილეს, 1 აპრილს იძულებული ვიქნებით გაფიცვა გამოვაცხადოთ.

ც. კომიტეტმა საჩქაროთ აცნობა ამის შესახებ ადმინისტრაციას და აგრეთვე ქართულ ეროვნულ საბჭოს. ამ უკანასკნელმა ამ კითხვის გამოსარკვევათ მოიწვია საბჭოს ალმ. კომიტეტის კრება 27 მარტისათვის. ამ კრებას დაესწრნენ ცენტრ. კომიტეტის წევრები და გზის გამგეობის თავმჯდომარე ფ. გოგიჩაიშვილი.

პირველათ მოხსენება გააკეთა ფ. გოგიჩაიშვილმა, გზის შემოსავალ-გასავლის შესახებ, საიდანაც გამოირკვა, რომ გზას ვალები აქვს და შემოსავალი ვერ ფარავს გასავალს. ამდენ ხანს ვსესხულობდით ხოლმე ფულებს და ისე ვაკმაყოფილებდით მუშა-მოსამსახურეებს, ეხლა კი ყოველივე წყარო მოსპობილია, სესხის შოვნა შეუძლებელია და ამიტომ ახალი დეკრეტით ფულების მიცემა გზას არ შეუძლიაო—განაცხადა ფ. გოგიჩაიშვილმა.

მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ც. კომიტეტის წევრებმა.

ხანგრძლივი კამათის შემდეგ იმ აზრს დაადგენ, რომ უნდა გაეგზავნოს მთავრობას დელეგაცია დასაბუთებული მოხსენებით და ეთხოვოს მას დახმარება.

31 მარტს კახეთის ნავთლუღში მოხდა მუშა-მოსამსახურეთა კრება, რომელსაც დაესწრო ც. კომიტეტი მთელი თავის შემადგენლობით. კრების თავმჯდომარემ, ილ. ყალანდაძემ და ც. კომიტეტის წევრებმა გააცნეს მუშებს კრების მიზანი, გზის მდგომარეობა და ქართული ეროვნული საბჭოს აზრი. გაიმართა კამათი. ორმა მიმდინარეობამ იჩინა თავი. ზოგიერთი მუშები სამართლიანად ამბობდენ, რომ ჯამაგირი არ ყოფნით, პურს ველარ შოულობენ და მშიერმა როგორ ვიმუშაოთო. ამიტომ ისინი მოითხოვდენ—აუცილებლათ უნდა მოგვეცეს მომატებული ჯამაგირები ორი თვის ერთადო და სხვა. მეორე მიმდინარეობის ამხანაგები კი, პირველად ყოვლისა, ითვალისწინებდენ დღევანდელ განსაკუთრებულ პოლიტიკურ მდგომარეობას, საზოგადო არევ დარევას და აგრეთვე კახეთის რკ. გზის უნუგეშო მდგომარეობას და ამბობდენ: მართალია, ჩვენი მდგომარეობა აუტანელია, შიმშილობას განვიცდით, მარა კიდევ მეტი გაჭირვება უნდა ავიტანოთ და ვეცადოთ—გზა არ დაიხუროსო. ეს გზა ქართველი ერის საკუთრებაა და მას ჩვენ ყადა მოვუაროთ. ამ გზის დახურვით ანარქია და კონტრ-რევოლიუც. მოძრაობა უფრო გაძლიერდება. ჩვენ კი სწორეთ ანარქიას და კონტრ-რევოლიუციას ვებრძვით. მოღალატეა ის, ვინც გაიძახის თუ არ მოგვცემენ მომატებულ ჯამაგირს, მუშაობას თავს დავანებებთ და სხვაგან წავალთ თავის გამოსაკვებათო. მოღალატეა ის, ვინც დღეს მხოლოდ თავის პირად კეთილდღეობაზე ფიქრობს და ბრძოლას უცხადებს იმ მთავრობას, სადაც ჩვენი არჩეული ამხანაგები სხედან. ჩვენ მთავრობას შინაური და გარეული მტერი გარს ახვევია და ის გაშმაგებით იბრძვის და იგერიებს მათ. ჩვენი ამხანაგი—მასწავლებლები, მთავრობისა და ქართულ ეროვნულ საბჭოს წევრები იარაღით ხელში ბათუმისკენ გაეშურენ მტერთან საბრძოლველათ. და აი ასეთ საბედისწერო დროს მათ ეჭირვება დახმარება და არა გაფიცვა და არევ-დარევა. ეს მდგომარეობა გვავალებს ჩვენ შეურყევლათ ვიდგეთ ჩვენ პოსტზე, თუნდაც შიმშილით სიკვდილი მოგველოდეს. ვინც რევოლიუციის მტერი არ არის და ან ვინც მარტო სიტყვით არ იცავს რევოლიუციას, იმან პირადი კეთილდღეობა უნდა უარყოს და ყოველგვარი გაჭირვება აიტანოს. საბედისწერო ხანაში ვცხოვრობთ და ამიტომ არავითარი გაფიცვა დასაშვები არ არისო,—მოუწოდეს ამხანაგებმა კრებას.

სამწუხაროთ ზოგიერთი მუშები ყოველგვარ საზოგადოებრივ შეგნებას მოკლებულნი აღმოჩნდენ, სრულებით არ უწევდენ ანგარიშს დღევანდელ განსაკუთრებულ პირობებს და დაჟინებით გაიძახოდენ—„უსათუოდ უნდა მოგვეცეს“,—„მე თუ მოვკვდი, მერეო“... და სხვა.

ბოლოს კრება შემდეგ აზრს დაადგა: განაგრძოს მუშაობა, მხოლოდ ეთხოვოს ქართულ ეროვნულ საბჭოს—მიიღოს ყოველივე ზომები, რომ დაკმაყოფილებულ იქნეს ჩვენი სამართლიანი მოთხოვნილებები. ხოლო იმ მუშებს, რომელთაც არ შეუძლიათ დარჩენა და საშვალება აქვთ სხვაგან წასვლის, მიეცეს ამის ნება.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ის მუშები, რომელნიც სოც. ფედერალისტების პარტიაში ირიცხებიან და ეროვნული ინტერესები მუდამ ენაზე აკერიათ, წინააღმდეგი იყვენ ზემოხსენებული კრების აზრის და მაშასადამე, მომხრე იყვენ გაფიცვის.

ალბათ, მათი აზრით, კახეთის რკ. გზის დაღუპვით ქართველ ერს არაფერი დააკლდება.

ვლ. ბ—ძე.

# თფ. რკინის გზის საავადმყოფოში

დავწექი 9 მარტს და დავრჩი 22 მარტამდე. მრავალი უწესოების მოწამე გავხდი ამ ხნის განმავლობაში. სრულებით ავადმყოფებს ყურადღებას არავინ აქცევდა. მორიგეობის დროს, როდესაც დანიშნულ დროზე უნდა გამოცხადდენ ავადმყოფებთან სწორეთ მაშინ მოსამსახურე სანთლით არის საძებარი. ზოგიერთი მოსამსახურე ქალები ლაზღანდარობაში ატარებენ დროს. აბა, ავათმყოფების დარდი და ჯავრი ვის აქვს და ან ვის ენაღვლება ავადმყოფი. იყო ასეთი შემთხვევებიც: როდესაც სიცხისაგან ავადმყოფები გარბოდენ, თვით ავათმყოფებივე უვლიდენ და თავს ევლებოდენ, მოსამსახურეები კი, ამ დროს იქ არ იყვენ. ისეთი შემთხვევებიც იყო, როცა ავადმყოფები მოუვლელობით ფანჯრიდან გადმოვარდა და წუთისოფელს გამოესალმა.

ავათმყოფი კოტე ჯიოშვილი გაიქცა საავადმყოფოდან. ის დაატუსაღეს ნაძალადევის ეგრეთ წოდებულ ვიწრო ქუჩაზე ისევ მოსამსახურეებმა. ავათმყოფების ცნობით ჩვენ წინეთ გვქონდა ზარები, რომ დაგვერეკა და ხმის გაგონებაზე მოსამსახურეები უნდა მოსულიყვნენ. ზარები ჩამოგვართვეს იმისთვის, რომ აღარ დაგვირეკონო. ზოგიერთი მოწყალე დებიც რა თქმა უნდა თავის თავის მოვალეობას პირ-ნათლად არ ასრულებენ. ექიმი უწერს საჭმელს ავათმყოფებს, მაგრამ ავათმყოფი ხშირად იმას ვერ იღებს, რაც გამოწერილი აქვს. ზრდილობიან მოპყრობაზე ზედმეტია ლაპარაკიც. პირველი მოთხოვნილება მუშების ყველგან იყო ზრდილობიანი მოპყრობა ნიკოლოზის რეჟიმის დროსაც. აქ ეხლაც კი ზრდილობიანი მოპყრობა დავიწყებიათ.

იყო ასეთი შემთხვევა: ავათმყოფ რიჟამაძესთან მოვიდენ მნახველნი, რომელიც ფეხზე იდგა და ისთე ელაპარაკებოდა. მივარდა მას მოწყალების და და მრისხანე კილოთი უბრძანა: გარედ გასულიყო და საავათმყოფო დაეცალა. მან უპასუხა, ხომ ხედავთ ეხლახან შემოვედი, ერთ სიტყვას ვეტყვი და გიახლებითო. მან უშვერი სიტყვებით მიმართა, მასთან მხეციც კი უწოდა. მან მიუგო მე მხეცს რა მიგავს, მე თქვენსავით ადამიანი ვარო. მან კიდევ უშვერი სიტყვებით მიმართა: შენ მხეცი კი არა, მხეცზე უარესი ხარო და ეს სიტყვები რამდენჯერმე გაიმეორა. რიჟამაძის მნახველი, რა თქმა უნდა, კარში გავიდა, რამაც გამოიწვია ავათმყოფების დიდი აღელვება. რიჟამაძემ კინაღამ ჭკუა დაკარგა და უფრო ავად შეიქმნა აღელვების გამო. ბევრ სხვა უწესოებასაც აქვს ალაგი აქ. ამიტომ საჭიროა ყურადღება მიექცეს ვისგანაც ჯერ არს.

ი. შარაშიძე.

# ვიქტორ ივ. ბოლქვაძე

ბათუმში ხანმოკლე ავათმყოფობის შემდეგ უდროოთ გარდაიცვალა თავისუფლებისთვის თავდადებული მებრძოლი, მურღულის ქარხნის მუშათა ორგანიზაციის შემქნელი ბიქტორ ივანეს ძე ბოლქვაძე. ის იყო ახალგაზრდა, ოცდაოთხი წლისა. მას შეეძლო დიდი სარგებლობის მოტანა მუშებისთვის. ის იყო, როგორც ვიცი ბათუმის საბჭოს წევრი. ის არა ერთხელ იყო ხელმძღვანელი მურღულის ქარხნის მუშებში მომხდარ გაფიცვებისა, რაიც მუშების გამარჯვებით თავდებოდა ყოველთვის. მოწინავე ახალგაზრდა ამხანაგობამ ბიქტორის სახით დაჰკარგა ერთი თავისი საუკეთესო ენერგიული წევრი. ღ ეს დანაკლისი მით უფრო საგრძნობელია რომ დღეს საკეთებელი ბევრია და გამკეთებელი კი ცოტა.

აი ამ ბევრი საქმიანობის დროს მისი გასვენება ვერ მოხდა ისე, როგორც უნდა მომხდარიყო, მაგრამ ამხანაგო ვიქტორ! შენ წინაშე ბოდიშს არ ვიხდი, რადგანაც ჩვენ მუშებს გვაინტერესებს არა ფორმა, არამედ საქმე. ძმაო ბიქტორ უკანასკნელათ გემშვიდობები, შენი სახელი იქნება ჩვენს გულში დაუვიწყარი.

ვანუგეშებ შენს მშობლებს და ვეტყვი, რომ მართალია დაგეკარგათ საუკეთესო ვაჟკაცი, მაგრამ რა გაეწყობა: „ვერ დაიჭირავს სიკვდილსა, გზა ვიწრო ვერცა კლდოვანი“.

მ. ვახილიევი.

—

გავიგე მეტად სამწუხარო ამბავი—ამხანაგ ვიქტორ ბოლქვაძის გარდაცვალება, რამაც უზომოთ დაგვამწუხრა ჩვენ, მისი ნაცნობები და ამხანაგები.

განსვენებული ვიკ. ბოლქვაძე ყოველივე კულტურულ დაწესებულების დაარსებაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა. ულმობელმა სიკვდილმა ხელიდან გამოგვგლიჯა ის, ვინც დარაჯათ ედგა საზოგადოებრივ ცხოვრებას და დაუღალავათ ემსახურებოდა მუშა ხალხ'. პირადი სარგებლობის, ან სახელის მოხვეჭის სურვილით ის საზოგადო მოღვაწეობის დროს არ ხელმძღვანელობდა.

გულწრფელობა, სიმართლის მოყვარეობა და პირდაპირობა,—აი რა ახასიათებდა მას, ასეთი თვისებებით აღჭურვილი ამხანაგი, საიმედო, პატიოსანი, დაუღალავი და პირუთვნელი მუშაკი გამოაკლდა რევოლიუციის და სამშობლოს დამცველ რაზმს.

ამხანაგო ვიქტორ! იმ ხალხის გულში, რომელსაც შენ ერთგულათ ემსახურებოდი, შენი სახელი სამუდამოთ წაუშლელი იქნება. ის ამხანაგები, რომლებთანაც შენ მუშაობა გიწევდა, ერთი წუთითაც არ დაგივიწყებენ!

მშვიდობით!

ბათუმი. ელიზბარ რ. თარგამაძე

# სოც.-დემ. პარტიაში

თფილისი. 30 მარტს მომხდარ პირველი რაიონის სოც.-დემ. პარტიული ორგანიზაციის ქალთა წრის კრებამ გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია: 1) მოეწყოს ამ წრის მეთაურობით პირველ რაიონში გვარდიელების დამხმარე ქალთა რაზმი, რომელიც მიზნათ ისახავს: დაარსებას პირველ რაიონში მოკლე ვადიან მოწყალე დებისთვის მოსამზადებელ კურსებს, სადაც წაკითხული უნდა იქნეს საჭირო ლექციები კვირაში ორჯერ—ორშაბათობით და ოთხშაბათობით. კურსების გათავების შემდეგ სურვილისამებრ დაიყონ მსმენელნი ქალები კატეგორიებათ იმის მიხედვით, თუ ვინ რა დარგში უნდა დაეხმაროს გვარდიელებს,—სურსათის მიწოდება-გადატანაში თუ სხვაში.

აუცილებელ საჭიროთ მიგვაჩნია აგრეთვე ერთი სამკურნალო პუნქტის დაარსება, რომელშიც მოთავსებული იქნება სამი ან ოთხი საწოლი. ყოველივე ღონე უნდა იქნეს წრის მიერ ნახმარი, რომ ყველა ეს გატარდეს ცხოვრებაში. 2) წრის კრებების დღეთ რჩება ისევ პარასკევი მხოლოდ კვირაობით კი იმართება სისტემატიური ლექციები სხვადასხვა სოციალურ-პოლიტიკურ კითხვებზე.

ლექციები ამა თუ იმ საკითხზე ყოველთვის იქნება დანიშნული ნაძალადევის თეატრში, საათის ოთხზედ.

კრების თავმჯდომარე ე. კუტალაძე.
მდივანი ე. ფეოდოროვა.

# მუშათა შორის

ცენტრალურ მომრიგებელი კამერა. რაც დრო გადის, ცენტრალური მომრიგებელი კამერა თანდათან მტკიცე ნიადაგზე დგება და მას მეტი ნდობით უყურებენ მუშათა წრეებში. წინათ თუ დიდი დავა იყო ატეხილი იმის შესახებ, საჭიროა თუ არა მომრიგებელ. კამერის არსებობა, დღეს წარმოების მდგომარეობა, ეკონომიური ცხოვრება და საზოგადოთ ობიექტიური პირობები ნათლათ გვიმტკიცებს, რომ ასეთ მომრიგებელ კამერის არსებობა აუცილებელ საჭიროებას შეადგენს.

თუ მეურნეობის აღორძინების დროს დიდი მნიშვნელობა აქვს პროფესიონალურ კავშირების კლასობრივ ბრძოლას, ეკონომიურ ცხოვრების კრიზისის დროს მომრიგებელი დაწესებულებები თანდათან ძლიერდებიან თავიანთ მოქმედებაში.

თფილისის მომრიგებელ კამერაში პირველად გაირჩა საქმე 15 მაისს, ხოლო 23 მარტამდე 1918 წლისა კამერას გასარჩევათ წარმოუდგინეს 502 საქმე. ეჭვს გარეშეა, ასეთ მოკლე დროში არც ერთ სასამართლო დაწესებულებაში ამდენ საქმეს არ შეიტანდენ გასარჩევათ. ყველა ამ საქმეებიდან კამერამ გაარჩია 242. 11 საჩივარზე მუშებს უარი უთხრეს, რადგინ ვერ იყო სათანადოთ დასაბუთებული.

231 შემთხვევაში მუშების საჩივარი სავსებითათ სანახევროთ დაკმაყოფილებულ იქნა.

იყო შემთხვევა, როცა მომრიგებელ კამერას საქმე ქონდა ძლიერ მცირე სამუშაო ქირასთან და ის ადიდებდა მას იმაზე მეტათ, რასაც მუშა თხოულობდა.

ორას საქმემდე კამერას არ განუხილავს, რადგან: 1) მოდავე მხარეები რიგდებოდენ კამერის მიერ საქმის განხილვამდე, 2) მხარეების გამოუცხადებლობის გამო და სხვა.

საგულისხმოა ის გარემოება, რომ უმთავრეს შემთხვევაში საქმის გარჩევას არ ესწრებოდენ მწარმოებელნი.

ამასთან არ შეიძლება არ აღვნიშნოთ მომრიგებელ კამერის ერთი ნაკლი, ეს არის ის, რომ დღემდე არ გამოუციათ ისეთი კანონი, რომლის ძალითაც სავალდებულო ყოფილიყო ძალა ქონებოდა კამერის გადაწყვეტილებას. და სანამ ეს ძალა არ ექნება მას, მისი მუშაობა შეფერხდება.

# პროვინცია

ტუაპსე. სალდათების ხიშტების წყალობით ბალშევიკებმა აქაც „გაიმარჯვეს“. როგორც სხვა ქალაქებში, ისე ტუაპსეშიც გარეკეს მთელი ხალხის არჩეულნი პირნი და თვით ჩაებენ „საერთო მუშაობაში“. ნოემბრის შუა რიცხვებში ყოველივე დაწესებულება მათ ხელში იყო და ყველა დაწესებულების მოსამსახურენი განდევნეს და მის ალაგას ჩააყენეს „ნამდვილი სოციალისტები“, მაგალითებრ, როგორიც არის ყოფილი პოლიციის ცნობილი მოღვაწე აკალოდნიკი შალახოვი, მისი მწერალი და მარჯვენა ხელი აგრეთვე ძველი სტრაჟნიკები და სხვა ამგვარები. დაურიგეს საწყალ ხალხს სამოსახლო მიწები სულ იაფ ფასებში მაგ. საჟენი მანეთათ თვეში. რომ სანოვაგე ბაზარზე გაიაფებულიყო დაადვეს გადასატან-გადმოსატანს ფუთზე 50 კაპ.; დაადვეს აგრეთვე ყველა გასართობ დაწესებულებებს თითქმის 40 პროც.; დაყიდეს ქალაქის შენობები; გაადიდეს ქალაქის მიწების ბაჟი 50 პროც.; შესწყვიტეს ქარხნებში და ნავსადგურში მუშაობა. სამაგიეროთ ეს მუშები დაიქირავეს 300 მან. თვეში კონტრ-რევოლიუციონერებთან საბრძოლველათ.; დაზოგეს აგრეთვე ზედმეტი ხარჯი კონტრ-რევოლიუციონერი სტუდენტების, აფიცრების და ყოფილი მოწინავე ინტელიგენციის დახვრეტილი გვამების დასამარხათ თანხის გაცემა და პირდაპირ ზღვაში ქვებ მობმულები გადაყარეს; მოინდომეს კონტრ-რევოლიუციონერების სასწავლებლის გიმნაზიის დახურვა ღ მასწავლებლების ჯამაგირების შეწყვეტა, მაგრამ იგივე კონტრ რევოლიუც. ქართველებმა და უკრაინელებმა შეუშალეს ხელი ამის განხორციელებას და მათ მაგიერ ამათ გაუწიეს დროებითი მატერიალური დახმარება. შეამცირეს აგრეთვე მაგარი სასმელების ყიდვა და თუ გაიყიდებოდა რაიმე, უწინ ბ-ნ კომისარისთვის მიერთმიათ საჩუქარი. დაიწყეს სახლების სოციალიზაცია რასაკვირველია საბჭოს წევრების და ქალაქის თვითმარ. წევრების ოჯახების მისათვისებლათ; გამოუცხადეს საშინელი ბრძოლა კადეტებს და კონტრ-რევოლიუციონერებს ყუბანის ოლქში და შავი ზღვის გუბერნიაში, რამაც მოითხოვა დაქირავებული წითელი რაზმის 250-დე გადიდება მცირე ჯამაგირით, 300 მან. თვეში; აყარე' იარაღი ყველა კონტრრევოლიუციონერებს. გამოაცხადეს ქალაქში ეგრეთ წოდებული „ოსადნოე პოლოჟენიე“ და აკრძალეს ქუჩაში გამოსვლა 9 საათს შემდეგ, რომ უფრო წესიერი ჩხრეკა დაეწყოთ და ბურჟუების შენახული ოქრო ვერცხლი. ჩამოერთვათ და მოეხმარათ საერთო საქმისათვის; ამ ბოლო დროს მარტის 20 რიცხვებში დაადვეს ტუაპსეს კონტრიბუცია მილიონ ნახევარი მანეთი სულ 38 კაცს, მაგრამ, საუბედუროთ, მათმა შეუგნებელმა ხალხმა ვერ დააფასა ამდენი „ბალშევიკების“ მოღვაწეობა და თუმცა მორიდებით, მაგრამ მაინც მოსთხოვა დანაპირები ყოველ მეორე დღეს წინა დღის კონტროლს ქვეშ გატარებული ხარჯების გამოქვეყნება, მაგრამ ოი საშინელებავ! განა ასეთ მოღვაწეებს ჰქონდა დრო ყველა ასეთი უბრალო ხარჯისთვის კონტროლი გაეწია?

შეუბრალებელი ხალხის მოთხოვნამ მაინც თავისი გაიტანა ღ როცა ქალაქის კომისარს სტიაშკინს (სლესარია) გაუკეთეს რევიზია მას აღმოაჩნდა ორასი ათასი მანეთი ნაღდი თავისი ფული, სამი თვის განმავლობაში შენაძენი. ხალხის მოთხოვნით ის დატუსაღებული იქნა და უნდა გაესამართლებიათ 25 მარტს. ამის შემდეგ ხალხი მოითხოვდა მუშათა და სალდათთა საბჭოს და ქალაქის თვითმართველობის რევიზიას, მაგრამ ეს ხომ ასე ადვილი არ არის. ასე ჩქარა ხომ ვერ მოხერხდება? კონტრიბუციის შესახებ თუმცა საბჭოს ულტიმატუმი 24 საათი იყო წამოყენებული, მაგრამ მეზღვაურების კომიტეტმა განუცხადა ხალხს არ გადაიხადონ ერთი კაპეიკი, სანამ ყოველივე გამორკვეული არ იქნება და მთელი ამ „წმინდა მამების“ შემადგენლობა არ გამოიცვლება და თუ ვინიცობაა სწორი ანგარიშები ჩაბარებული არ იქნება, ყველანი დაჭერილნი იყვნენ და გასამართლდეს ისე, როგორც კომისარიო. ხალხი საერთოთ ამ წინადადებას თანაუგრძნობს და დაჟინებით მოითხოვს ყველა დაწესებულებებში ხელ-ახალ არჩევნებს. ერთი სიტყვით აქ „ბალშევიკების“ მთავრობამ შესაფერი დაფასება მიიღო ხალხისაგან.

20 მარტს ქ. შ. წ. კ. გამ. საზოგადოებას ტუაპსის განყოფ. ინიციატორობით მოხდა ტუაპსეში მყოფი ყველა ქართველების სასწრაფო კრება. მისი უმთავრესი მიზანი იყო გაერკვიათ დღევანდელი ამიერ-კავკასიის მდგომარეობა. ერთი ხმით გამოითქვა სურვილი მთელმა ტუაპსის ქართველებმა დაეხმაროს განსაცდელში მყოფ სამშობლოს, წავიდეთ ყველამ ვისაც იარაღის ტარება შეგვიძლია, დავეხმაროთ მატერიალურათ ჩვენი საკუთარი ქონებით და შევწიროთ სამშობლოს და რევოლიუციას ყოველი ჩვენი ძალ ღონე როგორც შეგვეძლება... ნუ ვათქმევინებთ ჩვენ საქართველოში მყოფ ძმებს, რომ ჩვენ აქ შოვნის სურვილით გატაცებულთ სამშობლო არ გვახსოვს, მის ჭირს არ ვიზიარებთ.

დაარსებული იქნა ქართული ნაციონალური აღმასრულებელი კომიტეტი სამხედრო სექციით. იქნა არჩეული კომიტეტი 7 კაცისაგან. ამათგან ერთი წევრი ს. გ. ზაქარეიშვილი იგზავნება თფილისში დელეგატათ, რომელსაც ევალება გაიგოს ყოველივე დაწვრილებით და მოგვიტანოს პასუხი როდის წავიდეთ, რათ ან როგორი მზადებით.

მოისძირელი.

—

საღ. აჯამეთი. 21 მარტს შესდგა კრება ყველა დარგის მოსამსახურეებისა. თან მოწვეული იყო ყვირილის აღმასრულებელი კომიტეტის ორი წევრი, რიონიდან სოც.-დემოკრატ. ორგანიზაციის პრეზიდიუმი და ანანოვის რკინის გზის მოსამსახურეები. კრებამ თავმჯდომარეთ აირჩია სილევან გეგია, მდივნათ შალვა თენიეშვილი. დღიური წესრიგი იყო: 1) სადგურის უფროსის ნუკრაძეზე საჩივარი და მისი თანაშემწის პ. თევზაძის არა სასურველი მოქცევა მოსამსახურეებისადმი. 2) სამკითხველოს გახსნა სად. აჯამეთში და სხ. სადგ. უფროს ნუკრაძის შესახებ კრებამ გამოიტანა ასეთი დადგენილება: „კრება სცნობს დაეშნავეთ ნუკრაძეს და მოითხოვს მის გადაყვანას აჯამეთიდან, ყველა საბუთები კი (მაგალითად მისი ჩუმათ მიწერი ქაღალდები №№ 250—255 ოქმთან ერთად გაეგზავნოს ყვირილის აღმასრულებელ კომიტეტს გამოსაძიებლათ და მსჯავრის დასადებათ. რაც შეეხება სიმინდის დასათეს მიწების დარიგებას, სადგურის უფროსს მიეცეს იმდენი, როგორც ერთ რომელიმე მოსამსახურეს. მისი თანაშემწის, პ. თევზაძის შესახებ კრებამ დაადგინა: რადგან გამოირკვა, რომ თევზაძე დასცინის მთელ მუშებს, უწოდებს მოწინავე ამხანაგებს ჟანდარმებს და საერთოდ ის მომხრეა ძველი მთავრობის, მიეცეს მას გაზეთის საშუალებით წინადადება შეჩერდეს, ხელს ნუ უშლის საერთო მუშაობას. თან ამხანაგებს ევალება თვალყური ადევნონ მას. სამკითხველოს შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. შალვა თენიეშვილი, რომელიც აუცილებელ საჭიროდ სცნობს გაიხსნას აჯამეთში სამკითხველო და ამ მიზნისთვის სწირავს რიონის მოსამსახურეებისაგან ას მანეთს კრებამ გადასწყვიტა დაარსდეს სამკითხველო. აირჩია კომისია 1) მიხა მშვენიერაძე, 2) თ. კვინიკაძე, 3) ანდრო შენგელია, 4) ანაპოტი'ლე ცკიტიშვილი და 5) ალექსი ფიფია. ვუსურვებ მათ ენერგიულ მუშაობას.

დამსწრე.

—

სოფ. ხაჯალია (ჩოხხათის საზოგადოება, გურია). თებერვალში აქ შემოიჭრა გაცოფებული მგელი და შეკბინა აქაურები: კირილე ხოფერიას მეუღლე, დომენტი უშვერიძე დედიანურთ და პილატე ბარამია და აგრეთვე მუსრი გაავლო მრავალ ოთხფეხოვან საქონელს. ზემო ჩამოთვლილნი პირნი საჩქაროთ იქნა გაგზავნილი თფილისის საავათმყოფოში, მაგრამ ამან ზოგ მათგანს ველარა უშველა-რა და ორი კვირის ექიმობის შემდეგ იქვე საავათმყოფოში გაცოფდა და გარდაიცვალა კირილე ხოფერიას მეუღლე, დანარჩენნი სამნი კი ვითომ განკურნებულნი თანახმად ექიმების შემოწმებისა, სამი კვირის შემდეგ ჩამოვიდნენ სახლში, მაგრამ [illegible] ცალდა არც პილატე ბარამია [illegible] სამე დღეს გაცოფდა და გარდაიცვალა, გაცოფდენ აგრეთვე ძაღლები და მოედვენ სოფლებს,—შინაური პირუტყვის გაცოფებას ხომ სათვალავი არ აქვს; კატებიც კი გაცოფდა. ამან მცხოვრებლები დიდათ დააშინა. ვინაიდან მამაკაცები, გარდა უძლურნისა გაწვეულნი არიან სამხედრო სამსახურში და ნადირისა და გახელებულის პასუხის გამცემნი არავინ არიან, გარდა ქალების და ბავშვებისა. საჭირო არის ამ გარემოებას ჯეროვანი ყურადღება მიექცეოდეს, სანამ კიდევ უფრო გავრცელდებოდეს. ეს მოსალოდნელია მით უფრო, რომ დღე არ გაივლის არ გაიგონო ვის რა გაუცოფდა ღ ვის რ ო. საჭირო არის დღესვე მიაღწევდეს ეს ამბავი უმაღლეს სანიტარულ გამგის ყურამდე და მიიღებდეს შესაფერ ზომებს.

ვანო ნიკოლაძე.

# წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! თქვენი გაზეთის № 28-ში მოთავსებულია წერილი ბორჯომიდან „ნოდესი“, რომელიც ეხება რა 28 იანვარს ბორჯომში მომხდარ გლეხთა წარმომადგენლების კრებას, ბრალს მდებს, თითქო ხალხში არევ-დარევა და მთავრობის საწინააღმდეგო მოქმედება შემქონდეს. ბ-ნი „ნოდე“, მასაც არ კმარობს და ამბობს ჩემზე „ივანოვი ეს ის პირია, რომლის პოლიტიკურ ფიზიონომიის გამოსარკვევათ ეს სამი თვეა გამოძიება სწარმოებს და როგორც მტკიცდება, ის არის 1905 წლის ჯალათი, ძმათა გამყიდველი“. მე აზრათ არ მაქვს გაზეთის ფურცლებზე თავი ვიმართლო, ვინაიდან ეს დიდ დროს მოინდომებდა და არც იმას ვფიქრობ დავიცვა გლეხთა კრება, რომელთაც ნოდე ბრობს და შეუწყნარებელ ავანტიურისტებს უწოდებს, მე მხოლოდ მინდა გაზეთის საშვალებით ვამცნო ბ-ნ ნოდეს და ბორჯომის სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს, რომ ჩემ წინაამდეგ წამოყენებული საშინელი ბრალდება უნდა დამტკიცებულ იქნას. აგერ ოცი წელიწადია ვმასწავლებლობ. ამ ხნის განმავლობაში განმიცდია დევნა და შეურაცხოფა, შეძლებისდაგვარად მიმსახურნია ხალხისათვის, მარა ასეთი ბრალდება ჯერ ჩემთვის არავის წამოუყენებია და თუ ბ-ნ ნოდეს აქვს ამის საბუთები, კეთილ ინებოს და ამ წერილის დაბეჭდვიდან ერთი კვირის განმავლობაში სარაიონო კომიტეტთან შეთანხმებით დანიშნოს საგამომძიებლო კომისია, ან სასამართლო, რომელიც ჩემ ვინაობას საჩქაროდ გამოარკვევს, წინააღმდეგ შემთხვევაში მე ვიტოვებ თავისუფლად მოქმედების უფლებას.

სასამართლოს განაჩენი უნდა გამოცხადებულ იქნას გაზეთებში, ვინაიდან სამსახურის გამო დღემდი ერევნის გუბერნიაში ვიყავი, მხოლოდ დღეს მომეცა საშვალება გამეგო, რომ ჩემს წინააღმდეგ წამოყენებულია ასეთი საშინელი ბრალდება.

მასწავლებელი ილარიონ ივანოვი.

# ფონდი

იოსებ ხაფთასისაგან მივიღეთ ოცი მანეთი (20 მ.) „ერთობის“ ფონდის სასარგებლოთ, გარდაცვალებულ მამის ხსოვნის აღსანიშნავათ.

— ქვალონის კოოპერატიული დუქანი „საუნჯისაგან“ მივიღეთ 70 მან. 33 კაპ. „ეშ. მათრახის“ სასარგებლოდ.


# დაიკარგა

მოგზაურმა ჩინოვნიკმა კალისტე ივ. სარიშვილმა 19 მარტს ფული 158 მ. და სხვა საბუთები. 1) იარაღის ნებართვა ვინტოვკისა № 284350. მოწმობა პირადობათა, შაქრის ბარათი 6 სულისა. დღიდან გამოცხადებისა ვსთვლი გაუქმებულად. (1—1)

ექიმი

## ზ. დონხინი

ყოფილ იასსისენტი პარიზის მთავარ კლინიკისა იღებს თვალის ტკივილებით ავადმყოფებს, დილის 10—12 და საღამოს 4—7 საათამდე მიხეილის პრ., 76, (ხაიკინის კბილის საექიმო).

## ექიმი ვ. გ. ვეფხვაძე

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორათ ნამყოფი იღებს ავათმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.


1 აპრილიდან (14 აპრილი ახ. სტ.) ჩვენი გაზეთის ცალკე ნომერი ღირს

**30 კაპეიკი**

**პროვინციელ აგენტებს დაეთმობათ 24 კაპ.**

**ერთი თვით ეღირება 6 მან. და 50 კაპ.**